# საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ოთხშაბათი, 3 დეკემბერი, 2008 წელი.

№ 226 (6083)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@ayety.ge

ვებ გვერდი: www.open.ge/sakartvelos-respublika

ფასი 50 თეთრი.




იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცრუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

## „ვარდების რევოლუციის" ტოლფასი არჩევნები გაზაფხულისთვის დაიგეგმა

3-4





## არჩილ გეგეშიძე: აშშ, ევროპისგან განსხვავებით, კავკასიაში არსებულ სტატუს-კვოს არ შეეგუება

2

## გიორგი ხუციშვილი: ოკუპირებული ქვეყანა ნატოში ვერ შევა

2



## „კუკავა თუ ხელისუფლებაში მოვიდა, კალმისტრის სროლა მოგონილი იქნება"...





3

## ნატოში უკრაინისა და საქართველოს გამო განხეთქილებაა

8

## სკანდალი, რომელიც ომმა გადაფარა

11

ჩვენო ერთგულო მკითხველო!

### თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

ახალი წლის დადგომამდე დიდი დრო აღარ რჩება, გთხოვთ, გაგვიზიაროთ თქვენი აზრი: აკმაყოფილებს თუ არა „საქართველოს რესპუბლიკა" თქვენს გემოვნებას და რა სახის პუბლიკაციების სიმრავლეს ისურვებდით ახალ, 2009 წელს ჩვენი გაზეთის ფურცლებზე.

თქვენი აზრი ჩვენი საქმიანობის ორიენტირი იქნება!

მოგვწერეთ ან დაგვირეკეთ – კოსტავას ქ. №12, ტელ: 98-65-87.

**კანონმდებლები**

## ბალათურიას და მთავრობის პოზიციები ერთმანეთს დაემთხვა

**გარევაჭრობასთან დაკავშირებით მთავრობა და დეპუტატი ჯონდო ბალათურია ერთ პოზიციაზე დგანან.**

მთავრობის საპარლამენტო მდივანმა გია ხუროშვილმა გუშინდელ პლენარულ სხდომაზე ეჭვიც კი გამოთქვა, რომ განცხადების გაკეთებამდე ბალათურიას გარევაჭრობასთან დაკავშირებულ კანონპროექტზე მთავრობის დასკვნა ჰქონდა „გადაკითხული“.



ბალათურიამ თავიდან გარევაჭრობის დარეგულირების შესახებ უკვე შეჩერებული კანონპროექტის შეჩერება მოითხოვა. მანამდე კი, გარემოვაჭრეებთან ბოლო დროს მომხდარი ინციდენტები გააპროტესტა და ხელისუფლებას სთხოვა, „ადამიანებთან ადამიანური მოპყრობა ისწავლოს და არ გამოიყენონ მათ წინააღმდეგ ძალაუფლება, რომელიც მათივე ძალისხმევით აქვთ მინიჭებული“.

გია ხუროშვილმა კი, დეპუტატს შეახსენა, რომ კანონპროექტი შეჩერებულია, ვიდრე საბოლოო გადაწყვეტილება სწორედ ხალხთან კონსულტაციის შედეგად არ იქნება მიღებული.

პარლამენტში მომზადებული კანონპროექტის თანახმად, ვაჭრობაზე უნდა გაცემულიყო ნებართვები, რაზეც აუქციონი გამოცხადდებოდა, თუმცა შესაძლებელი იყო ნებართვის აუქციონის გარეშე გაცემაც.

ნებართვის მფლობელს უკვე გარემოვაჭრეების დასაქმებაზე უნდა ეზრუნა ისე, რომ არ დარღვეულიყო ქალაქის იერსახე, სანიტარიული პირობები, მოვაჭრეებისა და მომხმარებლების უფლებები.

* * *

**ოპოზიციონერი დეპუტატი ჯონდო ბალათურია მშენებლობის პრობლემასთან დაკავშირებით პროვიზორებს და რევიზორებს ერთნაირად აკრიტიკებს.**

ბალათურიამ პარლამენტის გუშინდელ სხდომაზე სამშენებლო სფეროში შექმნილ პრობლემებსა და ტოტალური უმუშევრობის საფრთხეზე ისაუბრა.

მისივე თქმით, სამშენებლო სფეროში შექმნილი პრობლემების გამო 150 ათას ოჯახს უმუშევრობა ემუქრება. ამის მიზეზად დეპუტატი საგადასახადო სტრუქტურების გააქტიურებას და ინვესტიციების შეჩერებას ასახელებს.

ამ სფეროში უდიდესი პრობლემებია. შეუძლებელია, ამდენი რევიზორის და პროვიზორის ატანა, – განაცხადა ბალათურიამ და დასძინა, რომ ხელისუფლება ამ საკითხით უნდა დაინტერესდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია ტოტალური უმუშევრობა.

რაც შეეხება სხდომის წამყვანს გიგი წერეთელს, მისთვის გასაგებია „რევიზორები“, თუმცა ვერ გაიგო, რას ერჩის დეპუტატი „პროვიზორებს“.

## დევნილთა დახმარების ენთუზიაზმი ჩაქრა

**„ქრისტიან-დემოკრატები“ პარლამენტს დევნილების პრობლემების მოგვარების მიზნით მეტი აქტიურობისკენ მოუწოდებენ.**

როგორც სესიაზე „ქრისტიან-დემოკრატმა“ მაგდა ანიკაშვილმა განაცხადა, დევნილებისადმი დახმარების ენთუზიაზმი აღარ არის ისეთი, როგორიც აგვისტოს მოვლენების პირველ დღეებში იყო. მისივე აზრით, ახლა მათი პრობლემები ყურადღების მიღმა რჩება.

კერძოდ, ანიკაშვილმა კომპაქტურად ჩასახლების ადგილებში ჰიგიენურ, სამედიცინო მომსახურებისა და საგანმანათლებლო პრობლემებზე ისაუბრა.

დეპუტატის თქმით, დევნილთა სახლებში არ არსებობს სველი წერტილები, არა აქვთ კოლექტიური აბანოც კი, რაც პირველ რიგში უნდა მოგვარდეს.

## გარესამყაროს მოწყვეტილი გუდამაყარი

**პარლამენტის ადამიანის უფლებათა დაცვის კომიტეტი გუდამაყრელების ბედით ინტერესდება.**

როგორც კომიტეტის თავმჯდომარე გია არსენიშვილმა პარლამენტის გუშინდელ პლენარულ სხდომაზე განაცხადა, სოფელ გუმაცხოში მცხოვრები 72 წლის ადამიანი არსად არ არის ნამყოფი, არა აქვს პირადობის მოწმობა, არ იღებს პენსიას, შემწეობას და ცხოვრობს 300 წლის წინანდელ ბანიან სახლში.

გია არსენიშვილმა ჯანდაცვის კომიტეტის თავმჯდომარეს ამ ადამიანისთვის პენსიის დანიშვნის საკითხის გადაწყვეტა სთხოვა; დუშეთის მაჟორიტარ დეპუტატს კობა ბადაგაძეს კი, რომელიც მოხუცს პასპორტის აღებაში დაეხმარა, მადლობა გადაუხადა.

**ინტერპრესნიუსისა და ХИ-ЭИВ-ЭНИ-ს მიხედვით**

**ექსპერტის აზრი**

## ოკუპირებული ქვეყანა ნატოში ვერ შევა

**კონფლიქტებისა და მოლაპარაკებების საერთაშორისო ცენტრის ხელმძღვანელი, კონფლიქტოლოგი გოგი ხუციშვილი აცხადებს, რომ მისთვის ნატოს წევრი ქვეყნების მიერ საქართველოსთვის მაპ-ის მინიჭებაზე ამჯერადაც უარის თქმა, მოულოდნელი არ ყოფილა. როგორც კონფლიქტოლოგი აღნიშნავს, ვერც საქართველო და ვერც უკრაინა ალიანსში გაწევრების სამოქმედო გეგმაზე გადასვლისთვის საჭირო სტანდარტებს ვერ პასუხობენ.**

მიუხედავად ამისა, საჭიროა გარკვეული პროგრამის მიღება, რომელიც ამის კომპენსაციას მოახდენს. ანუ, სამომავლოდ საქართველოს და უკრაინის ნატოში გაწევრებისთვის ალიანსის წევრი ქვეყნების მზადყოფნას დაადასტურებს.



თუმცა აშკარაა, რომ ნატოს წევრებს ჩვენს უსაფრთხოებასთან დაკავშირებით სერიოზული ვალდებულებების აღება არ სურთ. ამიტომ, შესაძლოა მოიძებნოს ურთიერთობის განსხვავებული ფორმა, ე.წ ბრიტანული გეგმა, რომელიც ალიანსთან საქართველოს მჭიდრო თანამშრომლობას გულისხმობს, თუმცა ეს, ალიანსს ვალდებულებებს არ დააკისრებს, – მიიჩნევს ხუციშვილი.

ექსპერტის აზრით, საქართველოს შემთხვევაში ვითარებას კიდევ უფრო ართულებს ის, რომ ქვეყანა ოკუპაციის ქვეშ იმყოფება , რაც ალიანსში ჩვენს გაწევრებას ამ ეტაპზე თითქმის გამორიცხავს.

ხუციშვილი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ნატოს წევრი შეიძლება გახდეს ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული პრობლემები მოგვარებული აქვს და საკუთარ ტერიტორიებს სრულად აკონტროლებს.

საქართველოს ნატოში გაწევრება-არ გაწევრების საკითხი პირდაპირ არის დამოკიდებული იმაზე, თუ რა გამოსავალი იქნება მოძებნილი ქვეყნის შიგნით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად. ვითარება ცალსახაა – თუ შეიცვლება მდგომარეობა ქვეყნის შიგნით, მაშინ მოხდება გაწევრება, წინააღმდეგ შემთხვევაში, ამაზე საუბარი არასერიოზულია, – აცხადებს ხუციშვილი.

მისი თქმით, ნატო-საქართველოს თანამშრომლობის ახალი მოდელის შემუშავების შესახებ ახალი ინიციატივის ბრიტანეთის მიერ გახმიანება, ამ საკითხისადმი დასავლეთ ევროპის დამოკიდებულებას დიდად არ შეცვლის.

ექსპერტის აზრით, შესაძლოა ინიციატივა რეალურად აშშ-ს ეკუთვნის, თუმცა იმის გამო, რომ იქ გარდამავალი პერიოდია ბუშის ადმინისტრაცია საკუთარ თავზე სერიოზულ გადაწყვეტილებებს არ იღებს.

სანამ ახალი ადმინისტრაცია მთლიანად გადაიბარებს ხელისუფლებას მსგავსი ინიციატივების ევროპელი პარტნიორებისგან გახმიანება მოულოდნელი არ არის, – აცხადებს ხუციშვილი.

იგი კომენტარს აკეთებს თურქეთის ფაქტორთან დაკავშირებითაც და აღნიშნავს, რომ თავად ნატოს ინტერესებში იქნება საქართველოს გაწევრება, თუ თურქეთი საბოლოოდ ჩამოყალიბდა როგორც ალიანსის არასანდო პარტნიორი.

ამ შემთხვევაში ჩვენი საკითხის გადაჭრა დამატებით სტიმულს იღებს. ნატოს ამ რეგიონში სტაბილური პარტნიორი და სერიოზული კონტინგენტი სჭირდება, – დასძენს ხუციშვილი.

**ვარაუდი**

# არჩილ გეგეშიძე: აშშ, ევროპისგან განსხვავებით, კავკასიაში არსებულ სტატუს-კვოს არ შეეგუება

**თბილისისა და კიევისათვის 2-3 დეკემბერს დაგეგმილი ნატოს მინისტერიალის სავარაუდო შედეგებზე „ინტერპრესნიუსი“ პოლიტოლოგ არჩილ გეგეშიძეს ესაუბრა.**



**– ბატონო არჩილ, იმის გათვალისწინებით, რომ რუსეთის ზეწოლით დასავლეთის რამდენიმე ქვეყანა ამ ეტაპზე ეწინააღმდეგება საქართველოსა და უკრაინის ნატოში შემდგომ ინტეგრაციას, რას შეიძლება ველოდოთ 2-3 დეკემბრისათვის დაგეგმილი ნატოს მინისტერიალისგან?**

– ფაქტობრივად მიღებულია გადაწყვეტილება, რომ უკრაინასა და საქართველოს არ შესთავაზებენ MAP-ს. ნატოს წევრ რიგ ქვეყნებს, რომლებიც ბუქარესტის სამიტზე წინააღმდეგი იყვნენ საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის შეთავაზებისა, პოზიცია არ შეუცვლიათ. იმის გათვალისწინებით, რომ აშშ-ს დღევანდელი ადმინისტრაცია თავის მოღვაწეობას ასრულებს, ევროპელ პარტნიორებზე მისი ზეწოლის რესურსი შემცირებულია, ამდენად MAP-ის საკითხის დადებითად გადაწყვეტის პერსპექტივაც კიდევ უფრო მცირე ჩანს.

ამ ფონზე დაიწყო საუბრები იმასთან დაკავშირებით, რომ იქნებ საქართველოსა და უკრაინის მიმართ MAP-ი, როგორც ალიანსში გაწევრების აუცილებელი ეტაპი დღის წესრიგიდან საერთოდ მოიხსნას და მის სანაცვლოდ საქართველოსა და უკრაინას ისეთი ინსტრუმენტები შესთავაზონ, ნატოს წევრი ქვეყნების ყველას ერთდროულ თანხმობას და სრულ კონსენსუსს მოითხოვს. მაგრამ ეს ყველაფერი ჯერ კიდევ განხილვის თემაა და 2-3 დეკემბერს დაგეგმილი ნატოს მინისტერიალი სხვა საკითხებთან ერთად ამ საკითხებზეც იმსჯელებს.

ახლა მსჯელობენ იმაზე, თუ რა უნდა იყოს ის ალტერნატიული ინსტრუმენტები, რომლებიც ამ შემთხვევაში საქართველოსა და უკრაინას ნატოსთან დაახლოების პროცესში უფრო ინტენსიური თანამშრომლობის რეჟიმში ჩართავდა. საუბარი იმაზე, ეს ყველაფერი თუ როდის მიიყვანს ამ ქვეყნებს თავად ალიანსში გაწევრებამდე, ამაზე დღეს არავინ საუბრობს,ვინაიდან ამაზე პასუხი დღეს არავის აქვს.

მას შემდეგ, რაც რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებლობა აღიარა, ამით მან საქართველოში მუდმივი ტერიტორიული პრობლემა შექმნა, ეს კი სერიოზულად აფერხებს საქართველოს ნატოში გაწევრების პერსპექტივას. დაგეგმილ მინისტერიალზე ალბათ საუბარი უფრო იქნება MAP-ის ნაცვლად სხვა რა ინსტრუმენტების შეთავაზება შეიძლება ნატოსთან დაახლოების მსურველი ქვეყნებისთვის, მაგრამ საუბარი არ იქნება ნატოში გაწევრების პერსპექტივებზე.

**– გასაგებია, რომ ნატო, როგორც ორგანიზაცია, არავის წინაშე ანგარიშვალდებული არაა და მას თანამშრომლობის ახალი ფორმის შერჩევა შეუძლია. თქვენი აზრით, საქართველოსა და უკრაინისთვის ნატოსთან თანამშრომლობის რა სავარაუდო ვარიანტები განიხილება?**

– ნატოს შიგნით საქართველოსთან და უკრაინასთან თანამშრომლობის რა ფორმები შეიძლება გამოინახოს, ამაზე ნატოს სამიტზე იმსჯელებენ. MAP-ის მიცემა ნიშნავდა ამა თუ იმ ქვეყნის ნატოს წევრობის კანდიდატად ოფიციალურად აღიარებას. MAP-ს ეს პლუსი ჰქონდა. ამ შემთხვევაში ნატოსთან თანამშობლობის ნებისმიერი ფორმა, რომელიც ალტერნატივის სახით შეიძლება შესთავაზონ თბილისსა და კიევს, იქნება კი იმგვარი ოფიციალური სტატუსი, როგორც ეს MAP-ის შემთხვევაში იქნებოდა? ეს არის ახლა მთავარი შეკითხვა, რომელზეც პასუხი ნატოს მინისტერიალმა უნდა გასცეს. ეს ძალიან რთული საკითხია. რამდენად სრულფასოვანი იქნება ის შეთავაზება, რომელიც MAP-ის სანაცვლოდ უნდა გაკეთდეს, ამას დრო გვიჩვენებს.



MAP-ის მინიჭებას ალიანსში კონსენსუსი სჭირდება. რადგან ნატოში კონსენსუსის პრობლემაა, როგორც ჩანს, ნებისმიერი სხვა ფორმა, რომელიც კონსენსუსს არ მოითხოვს, ნატოს წევრობის მინიჭებას არ უნდა ნიშნავდეს. თავისთავად ის, ამ თემაზე საუბრები რომ დაიწყო, რა თქმა უნდა, კარგია. ერთის მხრივ, ეს არის სახის შენარჩუნების მიზნით დაწყებული საუბარი, რათა საქართველო და უკრაინა განაწყენებულები არ დარჩნენ და მეორეს მხრივ, რუსეთმა არ ჩათვალოს, რომ მან გაიმარჯვა.

**– ამ საკითხებზე აშშ-ს სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის განცხადებებს რატომ მოჰყვა რუსეთის უმაღლეს მმართველობაში განსხვავებული შეფასებები? რაისის განცხადებაში რუსეთისათვის სახიფათო რა დაინახა ლავროვმა და რა ვერ დაინახა მედვედევმა?**

– რუსეთში უხარიათ, რომ MAP-ის საკითხი ისევ იხსნება დღის წესრიგიდან. რუსეთმა ნატოს ბუქარესტის სამიტზე ევროპულ ქვეყნებზე ზეწოლით მოახერხა საქართველოსა და უკრაინისათვის MAP-ის მინიჭების ბლოკირება.

მედვედევისა და ლავროვის განცხადებები შიდა აუდიტორიაზე იყო გათვლილი. მედვედევმა რაისის განცხადებები საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხში აშშ-ს პოლიტიკის გადასინჯვად შეაფასა. ლავროვმა ნათქვამს, მეორე მხრიდან მოუარა და თქვა, რომ ეს ქვეყნები არ არიან მზად ნატოში შესვლისთვის. ფაქტია, რომ ერთიც და მეორეც სხვადასხვა ფორმით, მაგრამ სიხარულს გამოხატავს იმის გამო, რომ თბილისმა და კიევმა ნატოსთან კიდევ ერთი საფეხურით მიახლოება ვერ მოახერხა.

იხ. 4 გვ.

განსჯა

**ქართულ სახელმწიფოს ნამდვილად არ უდგას ზეობის ხანა. უფრო სწორად, ასეთი პერიოდი უახლოეს ათწლეულებში არც დაუდგება. აქ საუბარი, უპირველესად ერთიან საქართველოზეა, რომლის არსებობის უფლებასა და საშუალებას ბოლო ორი ათეული წელია დღითი დღე ვკარგავთ. პოლიტიკასა თუ საზოგადოებრივ ასპარეზზე ახალი როლებით დაბრუნებული ძველი სახეებისგან რაც მივიღეთ, ვნახეთ და აწი რას მივიღებთ — გასარკვევია.**

ლა ცალ-ცალკე შეეცდება საპარლამენტო არჩევნების გამართვა საკუთარ დამსახურებად წარმოაჩინოს, თუმცა გადაწყვეტილება უკვე მიღებულია და ამას ცოტათი გაფორმება, „შეფუთვა“ და ოფიციალურად იმ დროს დადასტურება სჭირდება, როცა ამის გამოცხადებით ხელისუფლება მნიშვნელოვან ქულებს დაიწერს.

ამ გადაწყვეტილებით პრეზიდენტი ფორმალურად შეელევა

ილება ნაკლებ მტკივნეულად განხორციელდეს“, — განაცხადა „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას კაციტაძემ.

გაზაფხულზე არჩევნების ჩატარების გადაწყვეტილება მრავალ გარემოებას უკავშირდება, თუმცა ერთ-ერთი მთავარი მაინც იმ 4,5-მილიარდიანი დახმარების მიღება-არმიღების საკითხიცაა.

როგორც ექსპერტი რამაზ კლიმიაშვილი აცხადებს, ამ დღეებში გამოქვეყნებული სა-

ტრიბუნიდანაც ისაუბრა, სადაც პირობა დადო, რომ დემოკრატიულ რეფორმებს გაატარებდა.

„გპირდებით, რომ ჩემი ხელისუფლება შეასრულებს, შესაბამისი ტემპებით, ახალ დემოკრატიულ ინიციატივებს, რაც მეორე ვარდების რევოლუციის ტოლფასია“, — ეს განცხადება პრეზიდენტმა სააკაშვილმა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე გააკეთა.

დემოკრატიულ ინიციატი-

# „ვარდების რევოლუციის“ ტოლფასი არჩევნები გაზაფხულისთვის დაიგეგმა

ახლა, რაც დღეს ძალზე ნათელია, ისაა, რომ საქართველოს პრეზიდენტმა მორიგი, ქვეყნისთვის საკმაოდ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მიიღო — 2009 წლის გაზაფხულზე საპარლამენტო არჩევნები იგეგმება. რასაკვირველია, ოფიციალურად ამას არც არავინ დაადასტურებს და ალბათ გაზაფხულისთვის ყველა ოპოზიციური ძა-



საკონსტიტუციო უმრავლესობას, მაგრამ ამთავითვე იზრუნებს, რომ ეს უმრავლესობა არაფორმალურად შეინარჩუნოს. ვადამდელი არჩევნების დანიშვნით ხელისუფლების ცვლილება ნაკლებად მტკივნეული რომ იქნება, ამას ოპოზიციაც ადასტურებს.

როგორც „ჯი-ეიჩ-ენს“ „მემარჯვენე“ მამუკა კაციტაძემ განუცხადა, იმ შემთხვევაში, თუ პრეზიდენტი ვადამდელ საპარლამენტო არჩევნებს არ დანიშნავს, პოლიტიკური კრიზისი გამწვავდება.

„კრიზისიდან გამოსვლის ერთადერთი გზა ვადამდელი არჩევნების დანიშვნაა. თავისუფალი არჩევნების ჩატარებით, შესაძლოა, ხელისუფლების ცვლ-

ერთაშორისო ანტიკრიზისული ჯგუფის დასკვნა (თორთლაძის ჯგუფში არ აერიოს ვინმესძ მნიშვნელოვან საფრთხეს ქმნის ამ დახმარების მიღების თვალსაზრისით.

„ძალიან სერიოზული სანქციებით გვემუქრებიან. ისინი ამტკიცებენ, რომ ჩვენ არ გვაქვს ეფექტიანი სოციალური პოლიტიკა, არ გვაქვს თავისუფალი სასამართლო, დიდი კორუფციაა სახელისუფლებო ეშელონებში, რეფორმა უნდა შეეხოს საარჩევნო სისტემას და პრეზიდენტის მოვალეობებს“, — აცხადებს კლიმიაშვილი.

შესაბამისად ხელისუფლებაში კარგად ესმით, რომ არსებული სახელისუფლებო სტატუსკვოს პირობებში დასავლეთი არ დაიჯერებს არც ერთი რეფორმის წარმატებას, სულაც რომ კვირიკეს ხატზე დაიფიცოს მთელმა საქართველომ.

პრეზიდენტმა რეფორმების აუცილებლობაზე გაეროს

ვებს და მეორე „ვარდების რევოლუციას“ დასავლეთი ხელისუფლებაში ოპოზიციის აქტიური მონაწილეობის გარეშე ვერ დაიჯერებს.

ამავე დროს არის პრეზიდენტის კიდევ ერთი დაპირებაც, რომელიც მან 17 სექტემბერს პარლამენტში გაახმიანა: „დღეს მე მინდა გამოვაცხადო დემოკრატიული რეფორმების ახალი ტალღის დაწყების შესახებ. ამ რეფორმების მიზანია მივიღოთ უფრო ძლიერი პარლამენტი, ხელისუფლების შტოებს შორის კონტროლისა და ზედამხედველობის უფრო ქმედითი საშუალებები, განვამტკიცოთ საკუთრების ხელშეუხებლობა, უფრო თავისუფალი და მიუკერძოებელი გავხადოთ მედია და უფრო სამართლიანი და დამოუკიდებელი სასამართლო“.

იხ. 4 გვ.

ბრიფინგი

# „კუკავა თუ ხელისუფლებაში მოვიდა, კალმისტრის სროლა მოგონილი იქნება“...

**დეკემბერი დადგა, ზამთარი დაიწყო, მაგრამ ჟურნალისტი ირმა ინაშვილი კვლავ აგრძელებს „პოლიტიკური ვირთხების შემოდგომის“ ციკლს. ამ კვირის სამშაბათის პერსონაჟად მან კონსერვატიული პარტიის ლიდერი კახა კუკავა დაასახელა.**

სახალხო დამცველის ოფისში, როცა ოპოზიციის ლიდერები ეროსი კიწმარიშვილს უსმენდნენ, ირმა ინაშვილიც იმყოფებოდა. კახა კუკავასა და მას შორის ინციდენტის შემდეგ, ადვილი მოსალოდნელი იყო, რომ ჟურნალისტის სიაში



კონსერვატორების ლიდერი მოხვდებოდა.

იქ კახა კუკავამ აუდიტორიას მოუწოდა მხოლოდ აგვისტოს მოვლენებთან დაკავშირებით დაესვათ კითხვები და არა კიწმარიშვილის პოლიტიკური წარსულის შესახებ, რასაც ჟურნალისტი არ დაემორჩილა. ინაშვილმა აღნიშნა, რომ ის კიწმარიშვილის „მოფერებას“ არ აპირებდა. **რითი სჯობია კიწმარიშვილი, ბურჯანაძე ან ნოღაიდელი მიხეილ სააკაშვილს?! რა ვქნათ, თუ ერთ მშვენიერ დღეს სააკაშვილიც ხმამაღლა ალაპარაკდება საკუთარი რეჟიმის შუქ-ჩრდილებზე, დავაბრუნოთ ოპოზიციურ პოლიტიკურ სივრცეშიო?** კუკავამ ჟურნალისტი შეხვედრის ჩაშლაში დაადანაშაულა.

ირმა ინაშვილს საეჭვოდ ეჩვენება კუკავა-კიწმარიშვილის შეხმატკბილებული დამოკიდებულება. **კიწმარიშვილმა განაცხადა, რომ 2008 წლის იანვარში სააკაშვილს შეგნებულად ეხმარებოდა, რათა ხელისუფლებაში არ მოსულიყო რუსეთის მიერ კონტროლირებადი ძალა, ამ ძალაში, წესით, მას ოპოზიციონერი კუკავაც უნდა ეგულისხმა,** — აღნიშნა ინაშვილმა და, დასძინა, **— ეტყობა კუკავას „უღირს“ მასთან ერთად ჯდომა, მაგრამ რა ფასად უღირს, საინტერესოა.**

კახა კუკავა ინაშვილს მარგინალ ჟურნალისტს უწოდებს და ამბობს, ის ოპოზიციონერი არასოდეს ყოფილაო. ინაშვილი კი თავის მხრივ, ოპონენტის წარსულში იქექება და ამბობს: კუკავა, როცა 23 წლისა იყო, უკვე მაშინ მუშაობდა სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის უფროსის თანაშემწედ. საინტერესოა, ზოგჯერ ბოროტად ხომ არ იყენებდა ამ თანამდებობას, რადგან სწორედ ამ გზით შეძლო ხელთ ჩაეგდო ედუარდ შევარდნაძისა და ასლან აბაშიძის პირადი სატელეფონო საუბრის ჩანაწერი, რაც მერე გამოაქვეყნაო.

ირმა ინაშვილი ამბობს, რომ კუკავა ჯერ ხელისუფლებაში არ მოსულა და უკვე ბედავს ტონის აწევას მწვავე კითხვების დამსმელთათვის, ხელისუფლებაში თუ მოვიდა, კალმისტრის სროლა მოგონილი იქნებაო. ვინ აღჭურვა კუკავა ცენზორის ფუნქციით, ან რი-



თი სჯობია ის გიგა ბოკერიას ან გივი თარგამაძესო.

**ჟურნალისტის დასკვნით, ოპოზიციის ძალისხმევა, „გაათეთრონ“ ხელისუფლებიდან წამოსული „გაოპოზიციონერებული“ ჩინოვნიკები, იმას მიგვანიშნებს, რომ მზადდება ახალი რევოლუცია, რომელსაც „ვარდების რევოლუციის“ წიაღში მყოფი ადამიანები გეგმავენ, მხოლოდ მიშა და ვინმე ლიდერუკა შეიცვლება, ხოლო ქვეყნის მდგომარეობა და ვითარება უცვლელი დარჩება, რადგან ხელისუფლებაში იგივე ადამიანები იქნებიანო.**

თეა მოსია

ინფორმაცია

## უბედური შემთხვევა პატრულის თანხლებით

**შინაგან საქმეთა სამინისტრო 30 ნოემბერს თბილისი-წითელი ხიდის მე-20 კილომეტრზე მომხდარი ინციდენტის შესახებ განცხადებას ავრცელებს.**

**ამ მომენტისათვის საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ პატრულის მიერ დაკავებული მოქალაქე ზურაბ მათნაძე უბედურმა შემთხვევამ იმსხვერპლა. შსს-ის ინფორმაციით, საპატრულო ეკიპაჟმა დიდი სისწრაფით მოძრავი მანქანა „ფოლკსვაგენ პასატი“ გააჩერა, რომელსაც მათნაძე მართავდა. როგორც სამართალდამცავები განმარტავენ, მან უარი განაცხადა საპატრულო პოლიციისათვის საბუთების წარდგენაზე, ასევე თავი აარიდა ალკოტესტით შემოწმებას.**

**— პატრულ-ინსპექტორების მიერ აღნიშნული პიროვნება დაუმორჩილებლობისა და წვრილმანი ხულიგნობის გამო დაკავებულ იქნა ადმინისტრაციული წესით, რის შემდეგაც მისი ვინაობის დადგენისა და სათანადო დოკუმენტაციის შედგენის მიზნით, საპატრულო პოლიციის ეკიპაჟი დაკავებულ პიროვნებასთან ერთად გაემართა პოლიციის განყოფილებისაკენ. მოძრაობის დროს ავტომანქანაში მსხდომ პატრულ-ინსპექტორებსა და დაკავებულს შორის წარმოშობილი უთანხმოების დროს მანქანა შეეჯახა ელ-განათების რკინა-ბეტონის ბოძს. შედეგად, პატრულ-ინსპექტორებმა და ზურაბ მათნაძემ მიიღეს სხეულის დაზიანებები და გადაყვანილ იქნენ რუსთავის ცენტრალურ საავადმყოფოში, სადაც ეს უკანასკნელი მოგვიანებით გარდაიცვალა, — ნათქვამია შსს-ის განცხადებაში.**

**საქმეზე დამატებითი დეტალების დასადგენად მიმდინარეობს ძიება.**

## თვითმკვლელობა მესამედ სცადა

**სასჯელაღსრულების დაწესებულებაში პატიმარმა თვითმკვლელობა მესამედ სცადა. როგორც ცნობილი გახდა, რუსთავის №2 საპყრობილეში მყოფი პატიმარი უ. ჩ. ფსიქიკური აშლილობის დიაგნოზით მკურნალობის კურსს სამედიცინო დაწესებულებაში გადიოდა.**

**სუიციდის შემთხვევა 2-ჯერ ბათუმის საპყრობილეში ყოფნის პერიოდში დაფიქსირდა, რის შემდეგაც უ.ჩ თბილისში, სამკურნალო დაწესებულებაში გადმოიყვანეს. მკურნალობის ერთთვიანი კურსის გავლის შემდეგ კი იგი რუსთავის №2 მკაცრი და საერთო რეჟიმის დაწესებულებაში გადაიყვანეს, სადაც ერთ კვირაში ვენები გადაიჭრა.**

**სამედიცინო პერსონალის დროული ჩარევის შედეგად პატიმრის გადარჩენა ამჯერადაც მოხერხდა, თუმცა იგი სასჯელის მოხდას კვლავ მკაცრი რეჟიმის დაწესებულებაში განაგრძობს.**

ინტერპრესნიუსი

განსჯა

# „ვარდების რევოლუციის“ ტოლფასი არჩევნები გაზაფხულისთვის დაიგეგმა

(მესამე გვერდიდან)

ამ ყველაფრისთვის კი აუცილებელია, რომ თუნდაც საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე აქტიურად დაფიქსირდეს ოპოზიცია. შესაძლოა გაზაფხულამდე სააკაშვილმა რამდენიმე ოპოზიციური ფიგურა აღმასრულებელ ხელისუფლებაში დასაქმებაზეც დაითანხმოს და ქვეყანაში კოალიციური მთავრობაც გამოცხვება. თან, როგორც კლიმიაშვილი აკონკრეტებს, საერთაშორისო ანტიკრიზისული ჯგუფის დასკვნა სასწრაფოდ შესასრულებელიც ყოფილა. „თუ ყველა ეს საკითხი სასწრაფოდ არ მოგვარდება, იმ ოთხნახევარი მილიარდი დოლარის გადმოცემა ეჭვქვეშ დადგება. პირდაპირ არის მითითებული, რომ მაგ ფულს ვერ მივიღებთ“, – აცხადებს კლიმიაშვილი.

მსოფლიო ეკონომიკური კრიზისისა და აგვისტოს მოვლენების ფონზე ქართული ეკონომიკა რომ საშინელ დღეშია, ყველამ იცის, და ამავე დროს არც არავის ავიწყდება ხელისუფლების წარმომადგენელთა კომენტარები, მისალები 4,5 მილიარდის ფონზე საქართველო კრიზისს ნაკლებად იგრძნობსო. ისე, რაღაც თანხები, თითქმის ნახევარი მილიარდი, ახლაც კი გვაქვს მიღებული, მაგრამ ხელისუფლებას ამ დრომდე საზოგადოებისთვის განმარტება არ მიუცია თუ სად აპირებს მის მიმართვას და როგორ იგრძნობენ ადამიანები ამ დახმარების სიკეთეს.

რადგან გადაწყვეტილება მიღებულია, ახლა უკვე სხვა ყველაფერი, როგორც იტყვიან ტექნიკის საქმეა. როგორც „ვარდების რევოლუციის“ შედეგად დამხობილ პარლამენტს მიაღებინეს საკუთარი ყელის გამოსაჭრელი კანონები, ისე ეს პარლამენტი მიიღებს ახალ საარჩევნო კოდექსს, ან შესწორებებს. დღევანდელ მაჟორიტარებსაც შეჰპირდებიან, რომ მათ დაუჭერენ მხარს, თუნდაც იმიტომ, რომ გაპოლიტიკოსებულმა ბიზნესმენებმა ამ ხნის განმავლობაში საკუთარ ბიზნესსაც მნიშვნელოვანი ზიანი მიაყენეს და ვერც პოლიტიკის გემო იგემეს.



პრეზიდენტის დირექტივა კვლავ იქნება – არჩევნები არ უნდა გაყალბდეს, როგორც ეს აჭარის შემთხვევაში მოხდა. მაგრამ ისიც ფაქტია, რომ სამთავრობო წვრილფეხობა და რეგიონალური ჩინოვნიკობა, რომელმაც პატიოსანი და ალალმართალი თამაშის შესახებ არაფერი იცის და არც არაფერი გაეგება, საკუთარი პრივილეგიების შესანარჩუნებლად ყველაფერზე წავა.

იმის მიუხედავად, რომ ქართველ ოზივატელს არაერთ საკენკს უყრიან, ფაქტი ფაქტად რჩება – ოპოზიციის მნიშვნელოვანი სახეები სახელისუფლებო ელიტასთან თანამშრომლობენ. ეს ის სახეები არიან, რომელთაც “იქ ზევით“ – დასავლეთში (ადრე „ზევით“ კრემლი იყოძ, ნათლად განუმარტეს, რომ საქართველოში პირველი პირი ერთხელ და სამუდამოდ ლეგიტიმურად უნდა შეიცვალოს. სანაცვლოდ ოპოზიცია „ვერ მოითმენს“ უახლოესი წლების განმავლობაში ქუჩაში დგომას და პარლამენტის დერეფნების გარეშე არსებობას.

შესაბამისად არის შეთანხმება, რომლის საფუძველზეც ქვეყანაში მორიგი თეატრალური სანახაობა მზადდება. ეს ფარსი კი თანაბარწილად აწყობს ხელისუფლებასაც და ოპოზიციასაც.

ისე, არც ისაა დასამალი, რომ ოპოზიციამ საზოგადოებაში საკუთარი თავის მიმართ ისეთი სკეპტიციზმი წარმოშვა, რომ ექსპერტები გარკვეული ლიდერებისა თუ ქართული პოლიტიკის ამ სეგმენტის შეფასებისას ღიად აცხადებენ, რომ მათ არც სტრატეგია უვარგათ, არც ტაქტიკა.

„ჩვენი ოპოზიციის იმედი აღარ უნდა გვქონდეს, ლიდერები ძალიან ინერტულები გახდენ“, – აცხადებს რამაზ კლიმიაშვილი.

იქნებ ამ ინერტულობის მიზეზი სწორედ ისაა, რომ მათთვისაც კარგადაა ცნობილი გაზაფხულზე არჩევნების ჩატარების ამბავი და ახლა რესურსები არავის ემეტება დასახარჯად?

სამწუხაროა, რომ საქართველოში მუდამ ყველაფერი უკულმა ხდება. კლასიკური დემოკრატიის ქვეყნებში თუკი ოპოზიციაა კატალიზატორი და ხელისუფლებას მუდამ ამყოფებს ფხიზელ მდგომარეობაში. საქართველოში ოპოზიციის მნიშვნელოვანი ნაწილის ნაცვლად ხელისუფლება ილვწის და რუდუნებს, „კრავები კი დუმან“.

ახალი საარჩევნო პრემიერა „კრავთა მდუმარება – ქართულად“ გაზაფხულზე გაიმართება. ბედი ახალ ირონიას გვიმზადებს, მაგრამ განა ჩვენდა საამებლად.

**გოჩა მირცხულავა,**

**ჯი-ეიჩ-ენი**

ვარაუდი

# არჩილ გეგეშიძე: აშშ, ევროპისგან განსხვავებით, კავკასიაში არსებულ სტატუს-კვოს არ შეეგუება

(მეორე გვერდიდან)

**– ნატოს საპარლამენტო ასამბლეისთვის ბარაკ ობამას წერილით თუ ვიმსჯელებთ, რომელიც ასამბლეას სენატორმა ტერნერმა გააცნო, და რომლის მიხედვითაც, აშშ-ს ახლადარჩეული პრეზიდენტი ნატოს პრიორიტეტებად ავღანეთის საკითხს, საქართველოს მშენებლობასა და რუსეთთან ურთიერთობების მოწესრიგებას ასახელებს, ერთმნიშვნელოვნად თქმაა იმისა, რომ აშშ-მა საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხში მნიშვნელოვანი ცვლილებები შეიტანა, ცოტა რთული სათქმელია...**

– რა თქმა უნდა, უბრალოდ, რუსები ისეთ ინტერპრეტაციას აძლევენ, თითქოს ვაშინგტონი გონს მოეგო და საგარეო პოლიტიკის გადასინჯვას იწყებს. მაგრამ ცხადია, რომ აშშ, ევროპისაგან განსხვავებით კავკასიაში არსებულ სტატუს-კვოს არ შეეგუება. ჯერჯერობით, რა სიგნალებიც მოდის ვაშინგტონიდან, ნიშნავს იმას, რომ აშშ ვერ ეგუება და არ შეეგუება იმ სტატუს-კვოს, რომელიც რუსეთმა კავკასიაში შექმნა და რომელსაც თითქოს ურიგდება ევროპა.

ის ფაქტი, რომ ევროპამ რუსეთთან აღადგინა დიალოგი და ამ საწებლით იწყებს მასთან სტრატეგიული პარტნიორობის ხელშეკრულებაზე საუბარს, იმას ნიშნავს, რომ ევროპამ არსებული სტატუს-კვო მიიღო, ოღონდ ამის შესახებ ხმამაღლა არ ამბობს. ამერიკას ეს სტატუს-კვო არ მიუღია და სავარაუდოდ გააგრძელებს ამ მიმართულებით მოძრაობას და რუსეთზე ზეწოლას. ეს იმასაც ნიშნავს, რომ აშშ-ს დღის წესრიგიდან არ ამოუღია საქართველოსა და უკრაინის ნატოში გაწევრების საკითხი.

თუ მოხერხდა არსებული სტატუს-კვოს შებრუნება, რის შენარჩუნებასა და დამკვიდრებასაც რუსეთი ცდილობს და ევროპა მას ირიბად მხარს უჭერს, მაშინ კვლავ გაიხსნება საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაციის გზა. თუ ეს ვერ მოხერხდა, მაშინ ვერ გაიხსნება. თუნდაც იმიტომ, რომ ნატოში გაწევრების ნებისმიერ კანდიდატ ქვეყანას უნდა ჰქონდეს მოგვარებული ტერიტორიული პრობლემები თავის მეზობლებთან. რუსეთმა აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის აღიარებით და იქ საკუთარი ბაზების განთავსებით, საქართველოს ნატოში გაწევრებისათვის პერმანენტული პრობლემა შეუქმნა. თუ ეს პრობლემა ამერიკის ზეწოლით მოიხსნა, რაც მარტივი არ იქნება, მაგრამ აუცილებლად გასაკეთებელი საქმეა, მაშინ საქართველოს გაეხსნება გზა ნატოში ინტეგრაციისაკენ.

**– აშშ-ის ახალარჩეულმა პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ აშშ-ის სახელმწიფო მდივნად ჰილარი კლინტონი ოფიციალურად დაასახელა. ბილ კლინტონის პრეზიდენტობის პერიოდში რუსეთმა თითქოს მიიღო აშშ-ის თამაშის წესები, მაგრამ შემდეგ მსოფლიომ პუტინის რუსეთი მიიღო.**

რამდენად სავარაუდოა, რომ ბარაკ ობამამ გაიმეოროს რუსეთის მიმართებაში ბილ კლინტონის ადმინისტრაციის შეცდომები? და რას შეიძლება ნიშნავდეს ჩვენთვის ჰილარი კლინტონის აშშ-ს სახელმწიფო მდივნად დანიშვნა?

– ჰილარი კლინტონის აშშ-ის სახელმწიფო მდივნად დანიშვნა არ უნდა ნიშნავდეს პრეზიდენტ კლინტონის მმართველობის გარკვეული ხაზის გაგრძელებას და მემკვიდრეობითობას. კლინტონის ადმინისტრაციაში ნამყოფი ბევრი ჩინოვნიკი ობამას ადმინისტრაციაში დღეს საკმაოდ მნიშვნელოვან პოზიციებს იკავებენ, მათ შორის სტროუბ ტელბოტი, სესტანოვიჩი და სხვები.

ისინი აღიარებენ, რომ 90-იან წლებში პოსტსაბჭოთა სივრცეში აშშ-ის საგარეო პოლიტიკაში რუსეთისთვის პრივილეგირებული სტატუსის მინიჭება არ იყო სწორი. ინგლისურად ამას ერქვა Russia First, ანუ რუსეთი პირველ რიგში და შემდგომ სხვა დანარჩენი პოსტსაბჭოთა ქვეყნები. ასეთი დამოკიდებულება ჰქონდა ბილ კლინტონის ადმინისტრაციას და მიუხედავად იმისა, რომ რუსეთი სუსტი იყო, მან ვერ უზრუნველყო ამერიკის ინტერესებში შემავალი და ზოგადად რუსეთში დემოკრატიული პროცესების იმ კალაპოტში წარმართვა, როგორც საჭირო იქნებოდა. დღეს ამას ბევრი აცნობიერებს და ხვდება. ამიტომ, ობამას ადმინიტრაცია რუსეთთან მიმართებაში ბილ კლინტონის ადმინისტრაციის შეცდომებს გაითვალისწინებს და ისე, როგორც იყო, აღარ იქნება.

თუნდაც ის ფაქტი, რომ თავად ობამა და მისი მომავალი ადმინისტრაციის წევრები სიგნალებს იძლევიან იმის შესახებ, რომ ისინი ვერ ეგუებიან რუსეთის მიერ კავკასიაში უკვე მოპოვებულ პოზიციებს, იმაზე მიანიშნებს, რომ ალბათ გარკვეული კორექტივები იქნება შეტანილი აშშ-ს იმ საგარეო პოლიტიკაში, რომელსაც წინა დემოკრატიული ადმინისტრაცია წარმართავდა. ამიტომ ქალბატონი ჰილარი კლინტონის აშშ-ს სახელმწიფო მდივნად დანიშვნა არ მგონია ნიშნავდეს იმას, რომ რუსეთის მიმართ ზუსტად იგივე პოლიტიკა გატარდება, რომელიც მისი მეუღლის დროს ტარდებოდა.

რაც შეეხება თავად ქალბატონი კლინტონის პიროვნებას. აქ მნიშვნელობა მის ხასიათსაც აქვს. იმის მიუხედავად, თუ რა საგარეო პოლიტიკას შეიმუშავებს ობამას ადმინისტრაცია და ქალბატონ კლინტონს რა პოლიტიკური ამოცანები ექნება დასახული, მისი ხასიათის სიმტკიცე იქნება ის დამატებითი ხელშემწყობი ფაქტორი, რომელიც მას მიზნის მიღწევაში დაეხმარება.

**კობა ბენდელიანი**



**ეს ყველამ უნდა წაიკითხოს!**

ზურაბ ავალიშვილი

# საქართველოს შეერთება რუსეთთან

სხვათა შორის, ვკითხულობთ ამ „წარდგინებაში“ შემდეგ: „ინებებაა შენ, დიდო და თვითმპყრობელო ხელმწიფევ, პყრობასა ტრახტატისასა მის შეკრულებათა გამო, შემჭიდროებულსა მდგომობასა მიყვანებულისა, აღთქმისა მესებრ, შეწევნასა? ანუ დრომდე, რომელთამე მიზეზთა მიერ, ქმნა მისი შეუძლებელ არს? დიდო ხელმწიფევ, ღირს ჰყავ გამოყვანა ჩემი უცნობელობისა, და მოლოდება ყოვლისა საქართველოისა უმოწყალესითა პასუხითა, რათამცა მათი უმაღლესობა მეფე, ჩემი ხელმწიფე, და ერი მისი, დაშთომილნი მას უცნობელობასა, ვითარცა მე ვარ ამ დრომდე დაშთომილი აღთქმითა მით საღმრთოსა ტრახტატისათა და თქვენის დიდდმი ერთგულებითისა ფიცისა ქმნითა — არა იყვნენ მიყვანილნი სრულსა წარწყმედასა შინა“.

ნარკვევის მოცულობა არ გვაძლევს შესაძლებლობას, უფრო წვრილად მოვყვეთ ამბავს. აღვნიშნავთ მხოლოდ ქართველი რწმუნებული მოციქულის შემდეგ „თხოვნას: დაე, უბრძანონ მენაპირე მმართველებს, არ შეუშალონ ხელი ქართველთა სამსახურში ჩერქეზების აყვანას. ერეკლეს მეფობის პირველ ნახევარში, მას მრავალგზის წარმატებით უსარგებლია ყაბარდოელ მფლობელთა სამსახურით, რომლებიც ოდითგან მეგობრობდნენ საქართველოსთან. მოგვიანებით რუსეთის მთავრობა დაბრკოლებებს უქმნიდა ამ საქმეს (მაგალითები შეგიძლიათ ნახოთ ბუტკოვის „მასალებში“ძ. დასასრულ თავ. ჭავჭავაძე ითხოვს, გულისხმიერება გამოიჩინონ მხცოვანი მეფის უკანასკნელი დღეებისადმი, სიკვდილის სარეცელს რომ არის მიჯაჭვული, გულისხმიერება გამოიჩინონ მისი წუხილისადმი სამშობლოს ბედისათვის — გაამხნევონ მეფე, მემკვიდრე, მთელი ერი მონარქის კეთილი ნების გამოხატვითა და დახმარებით, ტრაქტატის მიხედვით. „განსადიდებლადვე მათის უმაღლესობის მეფის ჩემის უსაყვარლესის ხელმწიფის მოხუცებისა, რლი რაოდენცა სიღრმეთა გამო წელთა თვისთათა და უფროს მამულისათვის გულისა მისისა განმწერტელისა ჭირისაგან ნუ უკვე მდებარებდეს დღეს სასიკუდინესა ცხედარს ზ-ა, ანუ, უკვე საგლოველად ყოვლისა სამეფოსა, მიცვალებულ არს, ღირს ჰყავ წარგზავნა უმოწყალესის შენის იმპერატორების მანუგეშებელისა წერილისა მისდამი...“ძ.

## თავი მეათე

### შეერთების დამდეგ

### I.

1796 წელს გარდაიცვალა ეკატერინე, 1797 წელს მოკლეს აღამაჰმად-ხანი, 1798 წლის 11 იანვარს აღესრულა ერეკლე. როგორ წარიმართება ურთიერთობა ახალ ხელმწიფეებს შორის?

ერეკლეს გარდაცვალებისთანავე ქართლ-კახეთის ტახტზე ავიდა გიორგი XII და ფიცი დაადებინა მოსახლეობას. იგი საქართველოს მეფე გახდა მემკვიდრეობის უფლებით, და იმისათვის, რომ შეეპირებინა რუსეთის მხარდაჭერა, 1783 წლის ტრაქტატის მიხედვით, უნდა მიელო იმპერატორის ინვესტიტურა (1798 წლის აპრილში თავ. ჭავჭავაძემ ფორმალურად აუწყა საგარეო საქმეთა კოლეგიას გიორგის ტახტზე ასვლის შესახებ. ცაგარელი, ტ. II, № 132. იგი დასძენს, რომ მეფე ჯერჯერობით ვერ გზავნის საკუთარ შეტყობინებას, ვინაიდან შექმნილ გარემოებათა გამო ვერ მოიცალა. კიდევ უფრო ადრე იმპერატორ პავლეს წერილი მისწერა ერეკლეს ქვრივმა დარეჯან დედოფალმა, რომელიც ატყობინებდა, რომ გიორგის განზრახული აქვს, შეუთვალოს თხოვნა ტახტზე დამტკიცების თაობაზე. იხ. მისი. 1798 წლის 10 მარტის წერილი (ib.№ 130ძ.

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 203-219.

1798 წლის ზაფხულში ისეთი ვითარება იქმნებოდა და რუსეთის მფარველობის შთაბეჭდილება ისეთი იყო, რომ გიორგი იძულებული შეიქნა, ეპასუხა ახალი შაჰის ფათალის ფირმანზე და გაეგზავნა მასთან თავისი სიმამრი თავადი ციციშვილი; იგი მზად იყო ეძებნა ოსმალეთის მფარველობა; მაგრამ ორივე დესპანი უკან მობრუნდა, თავ. ციციშვილი — იმიტომ, რომ შეიტყო ბაბახანის (ეს შაჰის მეორე სახელიძ მარცხის ამბავი, ხოლო ოსმალეთს წარგზავნილი — ახალციხიდან მოაბრუნეს, იმიტომ, რომ პეტერბურგიდან ჩამოსულმა ბატონიშვილმა დავითმა იქიდან კარგი ამბები ჩამოიტანა (ბუტკოვი,.Матеріалы, ტ.II, გვ.445-446. თუმცა ჯერ კიდევ 1798 წლის 320 ივნისს გიორგიმ გაუგზავნა იმპ.პავლეს წერილი, რომ ცნობს „ჩემად უაღუსტეს მონარხად და ჩემად ხელმწიფედ, რომ აქვს მისი მფარველობის იმედი, თანახმად ტრაქტატისა, და არ იქნება იმპერატორისაგან „დაუტევებელი არც თვითონ და არც მისი მემკვიდრე დავითი და ა.შ. შემდეგ გიორგი ამბობს, რომ როდესაც მემკვიდრეობით მიიღო ტახტი და გამეფდა, შეატყობინა ამის შესახებ „ლინიაზედ“. ცაგარელი, ტ.II. ქართ. ტექსტი. № 135ძ.

ამის შემდეგ გიორგიმ ხელმწიფისათვის გაგზავნილი წერილის პასუხად მიიღო იმპერატორის მილოცვა ტახტზე ასვლასთან დაკავშირებით, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ მისგან მოელიან ფორმალურ შუამდგომლობას დამტკიცების შესახებ. რაც ტრაქტატის მესამე არტიკულით არის გათვალისწინებული (იხ. წინა შენიშვნა. „ფორმალური“ შუამდგომლობა ნახსენებია იქ მოყვანილ გიორგის 30 ივნისის წერილთან დაკავშირებით. შდრ. აგრეთვე უცნობის წერილი პეტერბურგიდან მეფე გიორგისადმი. ib.№ 137.საერთოდ, ეჭვი არ არის, რომ გიორგი ენერგიულად ეძებდა იმპ.პავლეს მფარველობას, რომელიც ბოლოს და ბოლოს, დიდი გულისყურით მოეკიდა საქართველოს საქმეებსძ.

იმავე წლის ნოემბერში, გიორგიმ შესაბამისი არზით მიავლინა პეტერბურგს თავ. ავალიშვილი; და გაუგრძელა უფლებამოსილება თავ. გარსევან ჭავჭავაძეს როგორც „სრულ-ნების-მქონებელ“ მინისტრს რუსეთის უმაღლეს კარზე. საკუთარი დამტკიცების გარდა, გიორგი ითხოვდა, ეცნოთ მისი ვაჟი დავითი მის მემკვიდრედ (იხ. გიორგის 1798 წლის 11 ოქტომბრის სიგელი თავ. ჭავჭავაძისადმი ცაგარელთან, ტ.II, № 138. იმავდროულად მეფე სწერს თავ. ბეზბოროდკის შექმნილი ვითარების შესახებ და აღნიშნავს: მეორე საუკუნო არის, რომ ჩვენად სასოებად რუსეთის უმაღლესი კარი გუაქვს და ხსენებულს მეზობლებთან შერიგებასა და დაგებას ვერიდებით: პირველად, ქრისტეს სარწმუნოების გამო, და მეორეთ, უმაღლეს ტახტთან ფიცით შეკრულობისა გამო. ჩვენ, ამისთანა მდგომარეობაში მყოფთ, არას დროს მაგ კარზედ შემწე და ჩვენთვის მზრუნველთ არა გვყოლია. სანატრელს მამა ჩვენს ჰქონდა სასოება დადებული კნიაზ პატემკინზედ, მაგრამ ის ჩვენ გვატყუვებდა, ის მხოლოდ თავის სახელის განდიდებას ეძებდა და არავის სხვისთვის ზრუნავდა“. გიორგი იმედოვნებს, რომ ბეზბოროდკო იქნება ქართველთა „შუამდგომელი და შემწე“ ( ib.№ 141ძ. გიორგის არზა შეიცავს ორ პუნქტს, ტახტზე მისი დამტკიცების შესახებ და მემკვიდრედ დავითის აღიარების შესახებ, . ib.№ 143ძ.

1799 წლის 18 აპრილის სიგელით გიორგი დამტკიცდა მეფედ, ხოლო დავითი — მის მემკვიდრედ, ტრაქტატის მე-3 მუხლის დამოწმებით.

1799 წლის ნოემბერში თბილისში ჩაიტანეს ინვესტიტურის ნიშნები, და გიორგიმ დიდი იმპერატორის ერთგულების ფიცი. ამრიგად, საქართველოსა და რუსეთის ურთიერთობა 1799 წლის ბოლოს მთლიანად განისაზღვრება 1783 წლის ტრაქტატის საწყისებით (იმპ. პავლესადმი გიორგი მეფის წარდგინებიდან, რომელიც ინვესტიტურის შესახები არზის ერთდროულად გაიგზავნა 1798 წ. ოქტომბერში, ნათლად ჩანს, რომ თავდაპირველად გიორგი საერთოდ არ ფიქრობდა ვისიმე ჩარევას მმართველობის საქმეებში; პირიქით, იგი კატეგორიულად მო-


З. АВАЛОВЪ

ПРИСОЕДИНЕНІЕ ГРУЗІИ

КЪ

РОССІИ

С.-ПЕТЕРБУРГЪ

1901

ითხოვდა, რომ რუს მმართველებს მეფის გარდა არავისთან არ დაეჭირათ საქმე: რათა მას უშუალო კავშირი ჰქონოდა უმაღლეს კართან, თავისი მინისტრის მეშვეობით, მენაპირე მმართველთა გვერდის ავლით, საქმის გაჭიანურების თავიდან ასაცილებლად (ამასთან, იგი იმოწმებს 1795 წელს მომხდარ ამბავსძ!. გიორგი პირდაპირ ითხოვდა ისეთ პროტექტორატს, რაც თავიდან აიცილებდა მფარველობის სხვაგან ძებნას, „რათა საფარველი თქვენისა დიდებულებისა საუკუნოდ გვედვას, რომ აღარ ვიყო დამჭირნე სხვისა რომლისამე კარის შევრდომასა, ანუ შევედრებასა“-ო და ა.შ. ცაგარელი, II, № 144. სავალალო გამოცდილებამ სარგებლობა მოიტანა, მაგრამ ამ ადამიანთა რამდენადმე განათლებული გაგება მოგვიანებით უძლური აღმოჩნდა force majeure-ს წინაშეძ.

მაგრამ, მივაქციოთ ყურადღება შემდეგ გარემოებას: საქართველოს მეფე დამტკიცებას ითხოვდა — და იმპერატორმა დაამტკიცა გიორგის მემკვიდრედ მისი ვაჟი დავით.

ტრაქტატში არაფერია ნათქვამი მემკვიდრეებზე: პირიქით, მისი ტექსტიდან ნათლად ჩანს, რომ ტახტის დაჭერის საკითხი საქართველოს შინაგანი ცხოვრების საკითხია, რომელიც სიუზერენის ჩაურევლად წყდება, ერთი სიტყვით, ეს არის საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის საკითხი, და არა იმპერატორის შეხედულებისამებრ გადასაწყვეტი საქმე. და თუ გიორგი ახლა ითხოვს, მემკვიდრედ დაუმტკიცონ დავითი, არა მგონია, რომ ასეთი დამტკიცება ტახტზე ასვლის აუცილებელ იურიდიულ პირობად მიაჩნდა (ზემოთ ციტირებული ქართული სიგელების მთელი რიგი გამოთქმები არ გვიტოვებენ ეჭვს ამის თაობაზეძ; აკი თავად ისე დადგა მეფედ, რომ იმპერატორს ნებართვას არ დაეკითხა. მისი თხოვნის



არსი ეს არ არის — გიორგის სურდა, თავისი ვაჟისათვის, როგორც სამეფო ტახტზე იმპერატორისაგან დანიშნული მემკვიდრისათვის მოეპოვებინა რუსეთის ხელისუფლების საპოლიტიკო მხარდაჭერა.

ხოლო ასეთი მხარდაჭერის შეპირება აუცილებელი იყო, ვინაიდან, საქართველოს ჭირად, მოგვიანებით, ყველაზე გადამწყვეტ მომენტში, არ იყო ერთიანი აზრი იმის თაობაზე, თუ ვინ არის გიორგის კანონიერი მემკვიდრე: ძე მისი, დავით, თუ ძმა, იულონ? ამ უკანასკნელის უფლებები ემყარებოდა ერეკლე მეფის ანდერძს, რომლის ძალა და ნამდვილობაც კი სადავო შეიქნა.

ჩვენ არ გვჭირდება აქ საქართველოს ტახტის მემკვიდრეობის საკითხთა განხილვა. ჩვენ გვინდოდა აღგვენიშნა, რომ, დაადასტურა რა დავითის როგორც მემკვიდრის უფლებები, იმპერატორმა **როდი შეუქმნა** მას ეს უფლებები — ამის გაკეთება არ შეეძლო, ვინაიდან ტრაქტატით არ გააჩნდა საამისო ძალმოსილება, არამედ იკისრა მხოლოდ მეფის წინაშე მოვალეობა, რომ ხელს შეუწყობდა მის ვაჟს მომავალ ტახტზე ასვლაში.

მაგრამ, პავლე იმპერატორი, ასეთ დასტურს რომ იძლეოდა, ეტყობა, არ უფიქრდებოდა იმას, თუ რამდენად ესატყვისება ეს ტრაქტატს, რომელსაც თვითონ იმოწმებს.

### 2.

ასე იყო თუ ისე, ტრაქტატი ახლა სრული ძალით, უფრო მტკიცედ მკვიდრდება ქვეყნის ძღს გალმა, მით უმეტეს, რომ ამიერკავკასიაში რუსეთის გავლენისადმი სპარსეთის და, ნაწილობრივ, ოსმალეთის მხრივ სერიოზული საფრთხის გამო, რუსეთის მთავრობა ბოლოს და ბოლოს, იღებს გადაწყვეტილებას, უფრო ენერგიულად იმოქმედოს, და ამოსავალ წერტილად იღებს საქართველოსთან კავშირს.

გიორგი მეფისათვის დამადასტურებელი სიგელის გადაცემასთან ერთად, როგორც იქნა, დაინიშნა მინისტრი საქართველოში — მასვე აქვს დავალებული, გაუძღვეს სპარსულ ურთიერთობებს.

ინსტრუქცია, რომელიც ამ მოხელეს მიეცა საგარეო საქმეთა სახელმწიფო კოლეგიაში, მოწმობს, რა გაფაციცებით უჭირავს ახლა თვალი რუსეთს საქართველოში თავისი ყოფნის უცილობლობაზე. „იოლად შეიძლება მოხდეს, ვკითხულობთ ამ სახელმძღვანელო მითითებებში, რომ ქვრივი დედოფალი, რომლის შვილებიც ტახტზე მყოფი მეფის ძმები არიან, აჰყვეს რაიმე ჭორებს, ესოდენ ჩვეული ამბავი რომ არის იმ მხარეში, გაკიცხოს მ-სი დ-ბა და ჩვენი გეგმები“. ამიტომ, „ფხიზლად უნდა ადევნოთ თვალი დედოფლის და მისი ერთგული ადამიანების ქცევას...“ რასაკვირველია, იქაურ მფლობელთა სიმუხთლისა და ორჭოფობის გამო, რომელიც მათ ხშირად ამოძრავებს“, საჭიროა, თვალი ადევნოთ თვით მეფის საქციელსაც, „რათა არასდროს არ მიადგეს არავითარი ვნება უმაღლესი კარის ინტერესებს“.

ასეთი ზედამხედველობიდან ჩარევამდე ერთი ნაბიჯია: დაე, ჩამოვიდნენ ჯარები საქართველოს დასაცავად; გაფაციცებულმა ზედამხედველობამ და შეიარაღებულმა ძალამ უნდა უზრუნველყოს ყოველგვარი ნების შესრულება. ხოლო საუკუნეობრივი უბედურებებით გაწამებული ქვეყანა, 1783 წლიდან გამუდმებით საშიშროების სატანჯველში რომ იმყოფება, ვერ შეძლებს და არ მოისურვებს, ილაპარაკოს თავის თავზე ისე ხმამაღლა, რომ შეაჩეროს იმპერიის მბრძანებლური გადაწყვეტილება.

ახლა მოვლენები გრიგალისებური სისწრაფით ვითარდება; სამეფოსა და იმპერიის ეს კავშირი, რამდენიმე საუკუნის მტანჯველი, უნაყოფო ურთიერთობის შემდეგ, მოვიდა მფარველობის ათწლეულამდე, უბედურების მეტი არაფერი რომ არ მოუტანია, და, ბოლოს, რამდენიმე თვეში, ისტორიის ჩარხის მძნევარა თვალმა გადაქელა ქართველი ხალხის იოლად მოწყვლადი, ნაგვიანევი სურვილები, და საქმე დამაქცევარ დასასრულამდე მიიყვანა.

მაგრამ, იქცეოდა ის, რასაც შექმნილ გარემოებათა გამო, უკვე აღარ ჰქონდა საქაო პირი; სამაგიეროდ, თანდათან უნდა დამყარებულიყო წესრიგი იქ, სადაც წესისა და რიგის თვით აზრი დიდი ხნის დაკარგული იყო. საქართველო მიდიოდა — არავინ იცის, უკეთესი თუ უარესი, მაგრამ გარდაუვალი — მომავლის შესახვედრად.

### II.

სანამ საბოლოოდ შემოვიერთებდეთ საქართველოს სამეფოს, გამოვეთხოვოთ ქართულ-სპარსულ ურთიერთობებს. აღა-მაჰმადის ძმისწული და მემკვიდრე, ბაბა-ხანი ან, უფრო საზეიმოდ, ფათალი ხანი, შორს იყო იმ აზრისაგან, რომ საქართველო რუსეთისათვის გადაელოცა. მაგრამ მასაც მოუხდა ბრძოლა ტახტის გულისათვის მეტოქეებთან, და, ჯერჯერობით არ ჰქონდა შესაძლებლობა, მჯობნისმჯობნის პოზიციიდან მოეთხოვა რუსეთისათვის ამიერკავკასია (მიხ. გ. ჭავჭავაძის 1799 წ. იანვრის წერილი თავ. ბეზბოროდკოსადმი აღა-მაჰმადხანის მემკვიდრის მაქიზებლობის შესახებ (ცაგარელი, II, ქართ. ტექსტ. № 150, მეორე ტირადაძ. დაწვრილებით ib. №154. ბატონიშვილი დავით გიორგის ძის წერილის ამონარიდი, რომელიც თავადმა გ. ჭავჭავაძემ წარუდგინა საგარეო საქმეთა კოლეგიას. იმპერატორ პავლესადმი გიორგი მეფის სამადლობელ წერილში (დამადასტურებელი სიგელისათვისძ პირდაპირ არის გაცხადებული, რომ დახმარების გაუწევლობის ან დაგვიანების შემთხვევაში „ესენი შვილსაც გამოგვართმევენ და სხვა პირობასაც, და მაშინ სრულიად „განშორებულნი ვიქნებით თქვენის მოკიდებულებიდამ“.

თარგმნა
**არჩილ მანჯგალაძემ**

(გაგრძელება იქნება)

იბეჭდება შემოკლებით

პრობლემა

*„და მითხრა მე: აღსრულდა! მე ვარ ანი და ჰაე, დასაბამი და დასასრული. მე მივცემ მწყურვალს სიცოცხლის წყლის წყაროსაგან უსასყიდლოდ.“*
*(„გამოცხადება იოანე ღმრთისმეტყველისა“, 21.6.).*

*„და მეჩვენა მე წმინდა მდინარე სიცოცხლის წყლისა, ანკარა, როგორც ბროლი, ღმრთისა და კრავის ტახტისაგან გამომდინარი“.* *(იქვე, 22.1.).*

# მოუშვებ უბრალო ონკანს და...



ყველას გახსოვთ დიალოგი კინოფილმიდან – „მიმინო“:

– დილიჟანში მოუშვებ უბრალო ონკანს და მოდის მსოფლიოში მეორე წყალი...

– პირველი ერევანშია, ხომ?

– არა... სან-ფრანცისკოში!

მსოფლიოს მრავალ ქალაქში დიდი ხანია აღარ სვამენ წყალს პირდაპირ ონკანიდან, ვინაიდან აღარ ენდობიან ონკანს... წყალს... უფრო სწორად, აღარ ენდობიან ადამიანებს, რომლებიც განაგებენ ამ სფეროს.

თბილისში ჯერ კიდევ ვსვამთ წყალს პირდაპირ ონკანებიდან. როგორც ჩანს, ონკანსაც ვენდობით და წყალსაც. უპირველეს ყოვლისა კი, ვენდობით ინვესტორებს, რომლებიც ამ სფეროში შემოვიდნენ.

ვენდობით, მაგრამ რამდენად სანდონი არიან ისინი?

საქართველოში ბევრს ლაპარაკობენ იმის შესახებ, რომ მრავალი სტრატეგიული დარგი რუსებმა შეისყიდეს და ეს სახიფათოა საქართველოსთვის, მაგრამ განა საქმე ინვესტორის ეთნიკურ წარმომავლობაშია? მთავარი ხომ ინვესტორის კეთილსინდისიერება, მისი უნარი და მონდომებაა, რომ დარგი გამოაცოცხლოს.

რამდენიმე წლის წინათ საქართველო წყვდიადში იყო ჩაფლული. დღეს საქართველო განათებულია. თითქმის მთლიანად აღმოიფხვრა ელექტროენერგიის დეფიციტი. მოსახლეობას ნაკლებად აინტერესებს, ვინ აკეთებს ამას – რუსი, გერმანელი, ფრანგი თუ ამერიკელი? მთავარია, რომ „დვიჟოკების“ ეპოქა წარსულს ჩაბარდა.

გვაქვს თუ არა ანალოგიური მდგომარეობა „თბილწყალში“?

არა, „თბილწყალში“ ანალოგიური მდგომარეობა არ გვაქვს! მიუხედავად იმისა, რომ ინვესტორი შემოვიდა, „თბილწყალში“ თითქმის არაფერი შეცვლილა. თბილისის ზოგიერთ უბანს წყალი ისევე მიეწოდება, როგორც ინვესტორის შემოსვლამდე მიეწოდებოდა, ხოლო ზოგიერთ უბანს წყალი ისევე არ მიეწოდება, როგორც არ მიეწოდებოდა ინვესტორის შემოსვლამდე.

ადამიანებს ელექტროენერგიით ან ბუნებრივი აირით მომარაგების გარეშე უფრო შეუძლიათ არსებობა, ვიდრე სასმელი წყლით მომარაგების გარეშე. ბერძენი ფილოსოფოსები, როგორც ჩანს, სამართლიანად მიიჩნევდნენ წყალს სიცოცხლის პირველწყაროდ. სხვა რომ არაფერი, ცოცხალი ორგანიზმების სხეულის მასის 65 პროცენტზე მეტი წყალია.

ცალკე საკითხია წყლის ხარისხი. ქალაქის მოსახლეობას უხარისხო ელექტროენერგიას ან ბუნებრივ აირს თუ მივაწვდით, ამით ქვეყანა არ დაიქცევა, მაგრამ ღმერთმა ყველა ქალაქი დაიფაროს უხარისხო წყლის მიწოდებისგან.

იბადება ერთი მარტივი კითხვა: ამ დივერსიებისა და ტერორიზმის ეპოქაში რამდენად არის დაცული წყალსაცავი, საიდანაც თბილისის მოსახლეობა წყლით მარაგდება?

ჩვენ ჩავატარეთ სატელეფონო გამოკითხვა თბილისის მოსახლეობაში. გამოკითხული 180 მოქალაქიდან 172-მა, ანუ გამოკითხულთა 96-მა პროცენტმა განაცხადა, რომ წარმოდგენა არა აქვს იმის შესახებ, თუ რამდენად არის დაცული თბილისის წყალსაცავები, რის გამოც გამოკითხულთა ასევე აბსოლუტური უმრავლესობა სერიოზულ შეშფოთებას გამოთქვამს. მათი აზრით, არ არის გამორიცხული, რომ ერთ „მშვენიერ“ დღეს, დედაქალაქში სასმელი წყლის შემთხვევითმა ან დივერსიულმა დაბინძურებამ კატასტროფა გამოიწვიოს.

გამოკითხული 180 მოქალაქიდან 62 პროცენტი აცხადებს, რომ ინვესტორის შემოსვლის შემდეგ „თბილწყალის“ საქმიანობაში არანაირი სასიკეთო ცვლილებები არ მომხდარა; 36 პროცენტის აზრით, თბილისის სასმელი წყლით მომარაგების საქმე საგრძნობლად გაუარესდა. ეს მაშინ, როდესაც ამ საქმეში გარკვეული პროგრესის შესახებ გამოკითხულთა მხოლოდ 2-მა პროცენტმა მიუთითა.

სასმელი წყლით მომარაგების საქმეში დღემდე პრობლემურ უბნებად რჩება: ვარკეთილის დასახლება, ფონიჭალა, ვაზისუბანი, ვაჟა-ფშაველს მე-6-7 კვარტალები, ნუცუბიძის პლატო, დიდი დიღმის, გლდანის, მუხიანის დასახლებები და სხვა. წყალი ჯერ კიდევ გრაფიკით მიეწოდება ისეთი ცენტრალური უბნის ნაწილს, როგორიცაა სოლოლაკი, ხოლო იქ, სადაც გრაფიკია, მოგეხსენებათ, გრაფიკის დარღვევაცაა!

გამოკითხულთა 58 პროცენტის აზრით, წყალმომარაგების სისტემაში გახშირდა ავარიები. ხდება ხოლმე, რომ ცალკეულ კორპუსებში მთელი კვირის და ზოგჯერ უფრო მეტი ხნის განმავლობაში შეწყვეტილია წყლით მომარაგება. წყალგაყვანილობის მოძველებული სისტემის გამო, რომლის შეცვლაზეც არავინ ფიქრობს, მრავალი კორპუსის სარდაფები დატბორილია და შექმნილია ანტისანიტარია.

გამოკითხვების პროცესში მოქალაქეები გამოთქვამდნენ მოსაზრებას, რომ დარგის პატრონობა-საქმიანობაში არსებული სერიოზული ხარვეზები სცილდება ქალაქის სასმელი წყლით მომარაგების სფეროს და გადადის პოლიტიკის სფეროში.

გამოკითხულები არ გამორიცხავენ იმასაც, რომ ეს შეიძლება ყველაფერი შეგნებულად და მიზანმიმართულად კეთდებოდეს, რათა თბილისის მოსახლეობაში ანტირუსული განწყობილებები გაძლიერდეს იმის საფუძველზე, რომ „თბილწყალი“ რუსებმა იყიდეს, ისინი მხოლოდ ფულს შოულობენ და დარგის ასაღორძინებლად არაფერს აკეთებენო.

ამგვარ განწყობილებებს აძლიერებს მოარული ხმები იმის შესახებ, რომ „თბილწყალის“ გენერალური დირექტორი ვინმე იური ლესი ადრე ჩადენილი ეკონომიკური მაქინაციების გამო, თურმე, ძებნილია. ამასთან დაკავშირებით, ქალაქში ასეთ ფრთიან გამოთქმასაც გაიგონებთ: რუსეთის ხელმძღვანელები ქართველ ე.წ. კანონიერ ქურდებს რუსეთში მალავენ, რუს დამნაშავეებს კი საქართველოში გზავნიანო. არ გამოვრიცხავთ, რომ „თბილწყალში“ შექმნილი არასახარბიელო მდგომარეობა წახალისებულიც კი იყოს საქართველს ხელისუფლების მხრიდანაც, რათა თბილისის მოსახლეობის თვალში რუსეთის ხელისუფლების დისკრედიტაციისათვის მიმართულ ღონისძიებათა კომპლექსს კიდევ ერთი სერიოზული ნაწილი დაემატოს. მაგრამ, განა დასაშვებია, რომ ისეთი უმნიშვნელოვანესი დარგი, როგორიც თითქმის ორმილიონიანი ქალაქის სასმელი წყლით მომარაგებაა, ვინმემ ბინძური პოლიტიკური თამაშების ასპარეზად აქციოს?!

**არ გამოვრიცხავ, რომ დილიჟანში, ონკანებიდან, ძველებურად იდინოს მსოფლიოში მეორე წყალმა, მაგრამ თბილისის ონკანებიდან წამოსულმა სითხემ შესაძლოა მალე დაკარგოს სასმელი წყლის სტატუსი და ნატახტრის ან ბულაჩაურის წყლის ოდესღაც ასე ნაქები გემო, ისევე როგორც მრავალი სხვა სიკეთე, მხოლოდ წარსულის სევდიან მოგონებად შემორჩეს თბილისელთა მეხსიერებას!**

**ვალერი კვარაცხელია**

ვინ როგორ ფიქრობს

# ო-პოზიცია, პოზიცია 20 იანვრის მოლოდინშია

## ზუგდიდში მხოლოდ ერთი ოპოზიციური პარტია ფუნქციონირებს

**ადრე ზუგდიდში ყველა ოპოზიციურ პარტიას ჰქონდა საკუთარი ორგანიზაცია, კარგი ოფისებითა და წარმომადგენლობით. მაგრამ ისინი თანდათანობით გაუჩინარდნენ.** ამჟამად პარტიისთვის დამახასიათებელი ყველა ნიშან-თვისება მხოლოდ რესპულიკურ პარტიას აქვს. არადა, ეს პარტია ადრე ზუგდიდში დიდი აქტიურობით არ გამოირჩეოდა. ყოფილი მოსამართლის ნონა თოლორაიას ძალისხმევით ჩამოყალიბდა რესპუბლიკური პარტიის ზუგდიდის ორგანიზაცია და მიმდინარეობს სამეგრელოს რეგიონული ორგანიზაციის ჩამოყალიბების პროცესი. „ზუგდიდის სინამდვილეში ოპოზიციური პარტიები მხოლოდ არჩევნების პერიოდში ჩნდებიან, მერე კი იკარგებიან. ჩვენ ვართ მხოლოდ ერთადერთი ოპოზიციური პარტია, რომელიც რეალურად არსებობს ზუგდიდში, გვაქვს ოფისი და წარმომადგენლობა. სხვა ოპოზიციურ პარტიებს ოფისები არა აქვთ და ამიტომაც ძნელია მათთან ურთიერთობა. ამიტომ ჩვენთვის არასასიამოვნოა ასეთ პირობებში ფუნქციონირება“, – აღნიშნა ნონა თოლორაიამ.

რესპუბლიკელთა ოფისს ხშირად სტუმრობს რესპუბლიკური პარტიის წევრი, ექსპერტი პაატა ზაქარეიშვილი.

– მე ძალიან მიყვარს ზუგდიდი და ზუგდიდელები. მაწუხებს ის, რომ საქართველოში მომხდარმა ყველა კონფლიქტმა ზუგდიდზე გადაიარა, – განაცხადა პაატა ზაქარეიშვილმა. ის არ ეთანხმება ზოგიერთი ოპოზიციონერის აზრს, რომ პოლიტიკოსები, 20 იანვრის მოლოდინში არ უნდა იყვნენ. „ჩვენ რეალურად უნდა შევხედოთ მოვლენებს, ამერიკის ახალი პრეზიდენტის ბარაკ ობამას რეალურად ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ ბევრი რამ შეიცვლება საქართველო-ამერიკის ურთიერთობაში. ყველაფერი გაირკვევა 20 იანვრის შემდეგ, რადგან საქართველოს ვექტორი ამერიკისკენაა მიმართული. თუმცა, უმჯობესი იქნებოდა ვექტორი ევროპისკენ მიგვემართა... ამიტომაც ოპოზიციის წარმომადგენლებიც იანვრისა და შემდგომი თვეების მოლოდინით ვცხოვრობთ“, – დასძინა პაატა ზაქარეიშვილმა.

**ლადო ქირია,**
**ზუგდიდიდან.**

გულის ხმა

# სულ ცუდი ქადილია...

**კრემლის ახალი მუქარა – აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ოკუპაციის შემდგომ საქართველოს ძირძველ კუთხეებს – სამეგრელოს და აჭარას ავუჯანყებთ და ბოლომდე დავშლით – ბოღმიანი კაცის მორიგი ქადილია.**

როცა ამგვარ განცხადებებს აკეთებენ რუსეთის თავდაცვის მინისტრი და ქართველთა მოძულე ჟირინოვსკი, წარმოდგენა არა აქვთ, რა დუღაბითაა შეკრული საქართველო. არ იცნობენ ქუჯის, ცოტნე დადიანის, პატრიარქ ამბროსი ხელაიას, სამშობლოსათვის გულნათელი ზვიად გამსახურდიას გმირულ საქმეებს. ვერ გაუაზრებიათ, რომ ქართლელი, იმერელი, კახელი, მეგრელი, სვანი, აჭარელი გაუთიშავი ცნებებია საერთო ძირფესვით.

მოუცლელობის მიუხედავად, ილია ჭავჭავაძე პერიოდულად სტუმრობდა საქართველოს კუთხეებს. აფხიზლებდა, ჩააგონებდა ხალხს, რომ ბოროტი ძალა ცდილობდა და მომავალშიც ეცდება იმ საძირკვლის მოშლას, რომლის „ტაძრის თაღები“ ქრისტეშობამდე ყალიბდებოდა.

1885 წელს ილია ჭავჭავაძე სამეგრელოში ჩამობრძანდა. ნიკო დადიანმა პეტერბურგიდან მისწერა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას: „ჩემი საგვარეულო ბიბლიოთეკა ჩაიბარეთ. თუ ამ ჩემის ბიბლიოთეკის შეწირვით, საზოგადოება მოუტანს რაიმე სარგებლობას ჩვენს სამშობლო ქვეყანას, მით შევრაცხავ თავს ბედნიერად, – იტყობინებოდა დადიანი.

1885 წლის 19 მარტს „დროება“ წერდა: „მართლაც, რომ მეფური შემოწირულობაა. ძნელია კაცისთვის იმის გამეტება, რაც მამა-პაპითვე მის ოჯახს საუნჯესავით შემოუნახავს და რაც მისთვის ჩაუბარებიათ. ამგვარ საუნჯეს, მაგ: მეგრელიის მთავრებისათვის შეადგენდა ის წიგნსაცავი, რომელსაც აწინდელი თავადი მეგრელიისა უხვად სწირავს წერა-კითხვის საზოგადოებას“.

ნ. დადიანის საჩუქრის მისაღებად სამეგრელოში ჩასულ ილიას ახლდნენ დავით ერისთავი, იონა მეუნარგია, ვასო მაჩაბელი, გრიგოლ ყიფშიძე, სამსონ ყიფიანი.

სტუმრობის ერთ-ერთი მიზეზი ის ბინძური კამპანიაც იყო, რომელიც რუსეთის იმპერიამ წამოიწყო – სამეგრელოში ქართული ენის აკრძალვა. კუთხემხარეების ერთურთისთვის დასაშორებლად ყველაფერს აკეთებდნენ. მათი აზრით, ყველაზე მომგებიანი იყო მეგრელთათვის რუსული ასოებით ვითომც ცალკე დამწერლობის შექმნა და შემდგომ სახარების თარგმნა. ამ ფარულ განზრახვას, უპირველესად, სამეგრელოს წარმომადგენლები აღუდგნენ წინ.

დიდი ილია თანმხლებ პირებთან ერთად ქუთაისი-ხონის გზით სამეგრელოს უმშვენიერეს სოფელ ბანძაში ჩავიდა. საპატიო სტუმრებს თავად მექი ფაღავას მამულში მოუწყვეს შეხვედრა. ილიამ ყანწით ხელში ბრძანა: „სამეგრელოში ჩამოველ და საქართველო ვნახეო“.

ი. ჭავჭავაძემ თავად შეამოწმა წიგნები და ხელნაწერები, სათუთად ჩაალაგებინა ყუთებში, ჩამოატანინა თბილისში და შემდგომ ბოლომდე უპატრონა.

ალბათ, უპრიანი იქნება, ჩვენი სახელოვანი წინაპრების ცხოვრებიდან ერთი ეპიზოდიც გავიხსენოთ.

მისი უწმინდესობა კათალიკოს-პატრიარქი ამბროსი ხელაია რუსეთის აგენტების მიერ მოწყობილ სასამართლოზე თავაწეული ბრძანებდა: „სული ჩემი ღმერთს ეკუთვნის, გული – საქართველოს, ხოლო ხორცი თქვენთვის დამითმიაო“.

პუტინებმა, მედვედევებმა, ჟირინოვსკებმა ბომბდამშენებით, ტანკებით, ქვემეხებით შესაძლოა, შენობები დაგვინგრიონ, ბაღ-ვენახები მოსრან, როგორც ეს ქართლში გააკეთეს, მაგრამ ჩვენს სულს, ჩვენს ერთობას ვერაფერს დააკლებენ.

**ბორის დავითაია,**
**აკ. წერეთლის სახელობის პრემიის ლაურეატი.**
**სენაკი.**

### მოვუსმინოთ ყველას!

# ღმერთი უსამართლობას არავის არ შეარჩენს

**მოსაზრება აგვისტოს მოვლენებზე, რუსეთ-საქართველოს ომზე და პერსპექტიულ ნაბიჯებზე**



**ამერიკის პრეზიდენტ რეიგანს ჰქონდა საფუძველი, როცა რუსეთს ბოროტების ქვეყანა უწოდა. რუსეთი დიდრუსული შოვინიზმის, აგრესიულობის და სხვისი მიწების მიტაცების ავადმყოფობით არის დაავადებული.**

საბჭოთა კავშირის დაშლისა და 1991 წელს საქართველოს მიერ დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, რუსეთი საქართველოს მიმართ ფარულ ომს აწარმოებდა. მან საქართველოსთან ურთიერთობის მრუდე გზა აირჩია — მისი პოლიტიკის სტრატეგიული კურსის მთავარი შემადგენელი ნაწილი აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის, საქართველოს მიწა-წყლის ამ ნაწილების, მიტაცებაა.

მან არ იკმარა სოჭი მისი რაიონით და განიზრახა ამ რეგიონებში საზღვრის უფრო ქვემოთ, სამხრეთით გადმოწევა.

ნათქვამია: „მადა ჭამაში მოდისო!“ მაგრამ რუსეთს არ უნდა დაავიწყდეს ანდაზა: „რაც ზედმეტად იბერება — სკდება!“

რუსეთს დიდი ხანია თვალი უჭირავს აფხაზეთზე; ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს სკკპ ცკ-ის მდივანი, კომპარტიის მთავარი იდეოლოგი, პირწავარდნილი შოვინისტი, სუსლოვი ყველაფერს აკეთებდა, რათა აფხაზეთი საქართველოსთვის ჩამოეშორებინა, თესავდა შუღლს ქართველებსა და აფხაზებს შორის, ხელს უწყობდა ასიმილაციას, აწყობდა საბოტაჟს ქართველების მიმართ და სხვ.

რუსეთს უნდოდა თავისი მზაკვრული გეგმა სამ ეტაპად განეხორციელებინა.

პირველი ეტაპი ისახავდა, კონფლიქტურ რეგიონებში ქართველების გენოციდს. მეორე ეტაპი ისახავდა საქართველოში დესტაბილიზაციის გზით მარიონეტული ხელისუფლების შექმნას და მისი ხელით, მსოფლიოს დასანახად, აფხაზეთისა და ე. წ. სამხრეთ ოსეთის დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას. მესამე ეტაპი ისახავს ამ „დამოუკიდებელი სახელმწიფოების“, ვითომდა თხოვნით, რუსეთის ფედერაციის შემადგენლობაში შეყვანას.

1992 წელს, წამოიწყო რა ომი აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, პირველი ეტაპი განახორციელა.

მეორე ეტაპის განხორციელება დესტაბილიზაციის გზით ვერ შეძლო, რის შემდეგაც ევროპის ზოგი სახელმწიფოს მიერ ბუქარესტში, „ნატოს“ სამიტზე, საქართველოსთვის მაპ-ის არმიცემით, მისთვის ანთებულ მწვანე შუქზე გაალვივა აფხაზეთში ჩამქრალი ცეცხლის ნალვერდალი და 2008 წლის აგვისტოში წამოიწყო ინტერვენცია.

რუსეთს ამ ქმედებით ნიღაბი ჩამოეხსნა და მსოფლიომ დაინახა მისი მახინჯი, აგრესიული სახე.

ვერ მიაღწია რა თავის საბოლოო მიზანს, აგვისტოში მომხდარი მოვლენების გამო დაადანაშაულა საქართველოს პრეზიდენტი და მთავრობა; ჩააყენა ჯარი აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში და საერთაშორისო კანონების იგნორირებით ისინი ვითომდა დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარა, ფაქტობრივად კი ანექსირება უყო საქართველოს ტერიტორიის ამ ნაწილებს და „აისრულა“ საუკუნოვანი ოცნება.

რუსეთის ლაღადი, თითქოსდა ის იცავს თავის მოქალაქეებს და უმცირესობათა უფლებებს აფხაზეთსა და ე. წ. სამხრეთ ოსეთში, მაშინ როდესაც მას ამ რეგიონებში ჩადენილი აქვს მკვიდრი ქართველი მოსახლეობის მიმართ უდიდესი დანაშაული — გენოციდი, გამიზნულია მსოფლიოს საზოგადოებრიობის დეზინფორმაციისათვის, რათა გაამართლოს თავისი აგრესია.

საქართველოს ტერიტორიულად მალე გამთლიანება და ლტოლვილების დაბრუნება უნდა მოხდეს, უპირველეს ყოვლისა, მოლაპარაკების მეშვეობით, მშვიდობიანი გზით, რაც ბევრად არის დამოკიდებული მეგობარი ქვეყნების პოზიციასა და ნატოში გაწევრებაზე.

მეგობარი ქვეყნები და ევროსტრუქტურები რუსეთის მიმართ მომთხოვნი, კატეგორიულები უნდა გახდნენ; მარტო მითითებებით და რჩევებით არ უნდა შემოიფარგლონ, საჭიროების შემთხვევაში სანქციები დაუწესონ.

პირველ რიგში რუსეთმა საქართველოს ტერიტორიიდან ჯარი უნდა გაიყვანოს და შემდეგ შეასრულოს ხელშეკრულებებით ნაკისრი სხვა ვალდებულებები.

თუ ამ მეთოდმა არ გასჭრა, მაშინ მასთან საჭიროა ძალის პოზიციიდან ლაპარაკი, რისი საშუალებაც მეგობარ ქვეყნებს და „ნატოს“ აქვთ და რაც აუცილებლად დადებით შედეგს მოიტანს.

გერმანული ანდაზაა: „როგორც მომექცევი, ისე მოგექცევი!“

დროა იმ სახელმწიფოებმა, რომლებსაც რუსეთმა ნავთობის სახით ლუმინალი მისცა, ჩააძინა და დააჰიპნოზა — გამოიღვიძონ. რუსეთის მიმართ მათმა ლოიალობამ შეიძლება მთელ მსოფლიოს უბედურება მოუტანოს.

ამერიკამ, სხვა მეგობარმა ქვეყნებმა, ევროსტრუქტურებმა და ნატომ ყველაფერი უნდა ილონონ, რათა საქართველო ტერიტორიულად მალე გამთლიანდეს და ლტოლვილები დაბრუნდნენ თავიანთ სახლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში რუსეთის მიერ ისინი, მსოფლიოს თვალში, დისკრედიტირებული გახდებიან, რაც ასევე რუსეთის გეგმის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილია.

იმედია, ამას ამერიკა, ევროპა და ნატო არ დაუშვებს.

თუ მეგობარი ქვეყნების მცდელობამ ჩვენთვის სასურველი შედეგი ვერ გამოიღო, ქართველებს ისღა დაგვრჩენია, ჩვენ თვითონ მივხედოთ ჩვენ თავს და „ხელი გავანძრიოთ, რომ ღმერთმა გვიშველოს!“ ჩვენი საქმე სამართლიანია, „ღმერთი ჩვენთან არს“ და ყველაფერს გააკეთებს იმისათვის, რომ საქართველო მალე გამთლიანდეს.

ღმერთი უსამართლობას არავის არ შეარჩენს, — „რაცა საქმე უსამართლო ღმერთმან ვისმცა შეარჩინა“. როცა ღმერთი ჩვენთანაა, ჩვენი მძლეველი ვერავინ იქნება — „განგებაა, სწორად მოჰკლავს, ერთი იყოს, თუნდა ასი“. „მგლის შიშით ცხვარი მთაში ვის არ გაურეკია“. — მოსახდენი უნდა მოხდეს.



**ოთარ შონია.**

***P. S. ბევრს ჰგონია, რომ რუსეთი საქართველოს ნატოში გაწევრების სწრაფვისთვის სჯის. არა, მას ეს არ ადარდებს, რადგან კარგად იცის, რომ ნატო საშიშროებას არ უქმნის. მას უნდა საქართველო იმ როლში იხილოს, საბჭოთა კავშირის დროს რომ იყო; ან მისი ნაწილები — აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი მიისაკუთროს. უფრო მეტად აფხაზეთი, სამხრეთ ოსეთი „საკოჭაოდ“, „სავაჭროდ“ სჭირდება.***

*ო. შ.*

### ადამიანი დროში

# პრინციპებისთვის არასოდეს არ უღალატია

**თუ კაცი გონიერია, სოფელი ღონიერიაო, ნათქვამია. დღეს სწორედ ერთ გონიერ და სოფელზე უსაზღვროდ შეყვარებულ ადამიანზე, ბატონ ირაკლი დვალზე მოგითხრობთ, კაცზე, რომელმაც მთელი შეგნებული ცხოვრება და შემოქმედებითი მოღვაწეობა სოფლის პრობლემატიკას მიუძღვნა.**

ვინც მას კარგად იცნობს, ვერ დაიჯერებს, რომ ეს მუდამ შემართული, საქმეებში ჩაფლული კაცი 80 წლისა გახდა. თავდაუზოგავ შრომაში, ათას ქარტეხილებში გავლილმა წლებმა მაინც ვერ დაჯაბნა, ვერ გატეხა, ფუტკარივით მოფუსფუსე, შემართებით ილვწის დღესაც.

რაჭის მაღალმთიან სოფელ ზედა შავრაში დაიბადა, მამა და უფროსი ძმა მეორე მსოფლიო ომში დაიღუპა. სამი შვილის აღზრდა დედამ იკისრა...

სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტი დაამთავრა. პირველად თელეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში გაგზავნეს ინჟინრად, შემდეგ თიანეთის მანქანა-ტრაქტორთა სადგურში მთავარ ინჟინრად დააწინაურეს. სულ რაღაც 24-25 წლის ახალგაზრდა იყო მაშინ... და უცებ სოფლის მეურნეობის სამინისტროში აღმოჩნდა.

მერე იყო სახალხო კონტროლის კომიტეტი, სამეცნიერო-ტექნიკური კომიტეტი, სამეცნიერო დაწესებულებები, ბოლოს ისევ სოფლის მეურნეობის სამინისტროში პრესცენტრს ხელმძღვანელობდა რამდენიმე წელი... არის დამსახურებული მექანიზატორი.

— სამეცნიერო სამუშაოს როდის ვასრულებდი? — მიპასუხებს კითხვაზე. თითქმის ყოველდღიურად, ალბათ, 20 წელზე მეტი შევალიე მეცნიერებას. ვარ ტექნიკის მეცნიერებათა დოქტორი, საინჟინრო აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ღირსების ორდენოსანი. არც ჟურნალისტური მუშაობა მიმიტოვებია, 200-ზე მეტი პუბლიკაციის ავტორი ვარ, 60-მდე სამეცნიერო შრომა გამოვაქვეყნე, ჩემს რაჭას და რაჭველებს 700-გვერდიანი წიგნი მივუძღვენი... სხვა რა უნდა გამეკეთებინა, მყავს ორი შვილი და ოთხი შვილიშვილი, ესენი მილამაზებენ დარჩენილ ცხოვრებას.

წინააღმდეგობები? რა თქმა უნდა, იყო, მაგრამ ყოველთვის ვცდილობდი, სხვის დაუხმარებლად გადამელახა ისინი. მიუხედავად ყველაფრისა, ჩემი პრინციპებისთვის არასოდეს მიღალატია, როცა მართალი ვიყავი, არასოდეს უკან არ დამიხევია.

**— ბატონო ირაკლი, თქვენ ყოველთვის სოფლის მეურნეობის აქტუალურ საკითხებს ეხებოდით. დღესაც ასეა. წერთ, რომ ამ დარგში საქმე წინ ვერა და ვერ წავიდა, უჭირს სოფელს, ძალიან უჭირს... თქვენი აზრით, რა არის ამის მიზეზი?**

— ბევრი რამ, სხვა რომ არაფერი, ისე როგორ უნდა მოახერხო, რომ ასეთ შესანიშნავ ბუნებრივ-კლიმატურ და ნიადაგობრივ პირობებში, თითოეული ჰექტარიდან ასე მცირე მოსავალს იღებდე? ისრაელშიც კი, რომელსაც ფაქტობრივად ერთი



მტკაველი მიწაც არ გააჩნია ნაყოფიერი, საშუალოდ ჰექტარზე 40-45 ცენტნერ ხორბლის მოსავალს იღებენ. ჩვენთან კი 14-16 ცენტნერს ძლივს ვღებულობთ. რადგან საუბარი ხორბლით დავიწყე, ბარემ იმასაც გეტყვით, რომ ჩვენთან, 2000 წლიდან დაწყებული, ყოველწლიურად მცირდება ხორბლის ნათესი ფართობები. 2002 წელს ხორბალი 156,4 ათას ჰექტარზე დაითესა, 2006 წელს — 76,6 ათასზე, 2007 წელს კიდევ უფრო შემცირდა — 45,4 ათას ჰექტარამდე. უფრო მეტსაც ვიტყვი, დღეისათვის ჩვენს ქვეყანაში 800 ათასი ჰექტარი სახნავ-სათესი ფართობია, აქედან 2006 წელს მოიხნა და დაითესა მხოლოდ 330 ათასი, ხოლო 2007 წელს — 297 ათასი ჰექტარი, ე. ი. 500.0 ათას ჰექტარამდე ნოყიერი მიწის ფართობი დაუმუშავებელი დარჩა. რატომ? პასუხი არავის აქვს.

გადახედეთ ჩვენი პურის ბეღლად წოდებულ შირაქის მინდორს, 36 ათასი ჰექტარიდან მესამედიც კი არ მუშავდება და საძოვრად და სათიბად არის მიშვებული.

...თქვენ, ალბათ, კითხვა გაგიჩნდათ, მართლა მტერი ხომ არ არის ყველა, რატომ ხდება ასე? რატომ მოჰყავთ ასეთი დაბალი მოსავალი?

...ჩემო კარგო, მიწას მოვლა-პატრონობა უნდა, არ იცავენ აგროწესებს, დღეს მთელი საქართველო რომ შემოიაროთ, ვერსად იპოვნით სასოფლო-სამეურნეო კულტურების აგროწესებს. გარდა ამისა, გლეხს არ ჰყოფნის ტექნიკური საშუალებები, სასუქები, შხამქიმიკატები... მართალია, ჩვენმა ხელისუფლებამ შემოიყვანა სხვადასხვა ქვეყნიდან ტრაქტორები და სხვა ტექნიკა, მაგრამ საკმარისი არ არის, ხშირად გლეხს ამ ტექნიკის გამოყენების საშუალებაც არა აქვს, რადგან რაიონში არ არის ორგანიზებული ტექნიკური სერვისის სამსახურები, იყო შეპირება, მაგრამ ჯერ ეს პრობლემა არ გადაწყვეტილა, ფერხდება სამელიორაციო სამუშაოებიც და ა. შ. სოფელი თავს ვერ ინახავს, ამიტომ უმრავლესობა ქალაქში მოდის... იცვლება სოფელი, ბევრი საკითხია სოფლად მოსაგვარებელი. უპირველესად კი, ხელისუფლებამ ისეთი კანონმდებლობა უნდა შეიმუშავოს აგროსექტორში, რაც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე იქნება.

— რა უნდა მიწის მოხვნას და დათესვას — ესაა სოფელიო, ასე ფიქრობს დღესაც ზოგიერთი პასუხისმგებელი მუშაკი. მათ ავიწყდებათ, რა რთული სფეროა სოფლის მეურნეობა და რა ძალისხმევა სჭირდება მის განვითარებას. თუ მოსახლეობას საკვები პროდუქტები არ ჰყოფნის, იქ ვერც მრეწველობას ააღორძინებ და ვერც კულტურას და განათლებას მიხედავ. განსაკუთრებული ძალისხმევა პრიორიტეტულ დარგებს სჭირდებათ — მემარცვლეობას, მევენახეობა-მეღვინეობას, მეჩაიეობას, მეხილეობას და ა. შ.

ადამიანის ღირსებად რა მიმაჩნია? პატიოსნება, სამართლიანობა, ამავე დროს სიკეთის დანახვის უნარი, მართალი უნდა იყო შენი სინდისის წინაშე, რა ვქნა ასე გამზარდეს ოჯახში.

ერთადერთი ნატვრა მაქვს, მე თუ ვერ მოვესწრები, მომავალმა თაობამ მაინც გამთლიანებულ და ბედნიერ საქართველოში იცხოვროს, მარტო ერთი კაცი, ვინც არ უნდა იყოს, ყველაფერს ვერ გასწვდება, ჩვენ, ყველამ ერთად უნდა დავიბრუნოთ დროებით ოკუპირებული ტერიტორიები...

**საუბარმა დიდხანს გასტანა. საოცარია პირდაპირ, 80 წელი გიმძიმებდეს მხრებს და მაინც ასე მუხლჩაუხრელად შრომობდე, ამ ცხოვრებაში ცუდიც ბევრი გენახოს და კარგიც, მაგრამ არ გაბოროტდე, არ დაიღალო, არ ჩაიმუხლო... ისევ ჭაბუკური შემართებით ახალ-ახალი იდეების ხორცშესხმაზე ოცნებობდე, გაწუხებდეს იმის შეგრძნება, რომ ჯერ კიდევ ძალიან ბევრი რამ გაქვს გასაკეთებელი. ჩემი აზრით, ეს არის სწორედ ადამიანური ბედნიერება, შეიძლება ძალიანაც არ გილხინდეს, მაგრამ რწმენა და იმედი შენი ქვეყნის უკეთესი მერმისისა, მაინც არ გტოვებდეს, თუმცა ბევრი რამ შეიცვალა და ღირებულებათა გადაფასებასაც ბატონი ირაკლის ცნობიერებაში უმტკივნეულოდ არ ჩაუვლია...**

**ნაზი იმნაიშვილი.**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე



# მიხეილ სააკაშვილი: საქართველო თავდაცვის წესით მოქმედებდა

**საქართველო თავდაცვის წესით მოქმედებდა, ამტკიცებს პრეზიდენტი სააკაშვილი თავის სტატიაში, რომელიც „უოლსტრიტ ჟორნელში“ გამოქვეყნდა.**

„მას შემდეგ, რაც აგვისტოში რუსეთი შემოიჭრა საქართველოში, საერთაშორისო გაერთიანება, ეტყობა, გაიყინა ერთ საკითხზე, რომელიც შეეხება ომის დაწყების ვითარებას: იყო თუ არა საქართველოს ჯარების მცდელობა დაეკავებინათ ცხინვალი უგუნურ საქციელად?“, – წერს ავტორი.

სააკაშვილი ამტკიცებს, რომ ეს საკითხი განიხილება ძირითადად პიარ კამპანიის გამო, რომელსაც ახორციელებს რუსეთის მხარე, რითაც ყურადღება გადააქვს თავისი ენერგიული და აშკარა პოლიტიკიდან საქართველოში არსებული წყობილების შესაცვლელად. მე ყოველთვის აშკარად ვაღიარებდი, რომ გავეცი ბრძანება, გამოგვეყენებინა სამხედრო ძალა სამხრეთ ოსეთში“, – წერს სააკაშვილი. ის აღნიშნავს, რომ ხელმძღვანელობდა ორი ფაქტორით: რუსეთის ჯარებისა და ჯავშანტექნიკის თავმოყრით რუსეთის საზღვარზე და რუსეთის მხრიდან პროვოკაციებითა და თავდასხმებით ისევე, როგორც მისი მარიონეტების მხრიდან, როგორც ის აღნიშნავს.

საქართველოს პრეზიდენტი მიიჩნევს, რომ ამ კონტექსტში მნიშვნელოვანია სხვა საკითხი: „რომელი დემოკრატიული ქვეყანა მოიქცეოდა სხვაგვარად, თუ მის მოქალაქეებს ანადგურებენ, ხოლო მის ტერიტორიაზე იჭრებიან?“. „საქართველოს მხარეს ნაბიჯიც არ გადაუდგამს საქართველოს ტერიტორიის გარეთ“, – ხაზგასმით აღნიშნავს იგი. სააკაშვილი გვთავაზობს შეკითხვების სიას, რომელიც, მისი სიტყვებით, ნამდვილად მოგვცემს საშუალებას, ვიმსჯელოთ რუსეთის მოქმედებათა კანონიერებაზე ან უკანონობაზე.

„რომელი მხარე – საქართველო თუ რუსეთი (ან მისი მარიონეტებიძ – ცდილობდა მოეხდინა მეზობელი სუვერენული სახელმწიფოს ტერიტორიის ანექსირება?

უკანონოდ გასცემდა პასპორტებს მეზობელი დემოკრატიული ქვეყნის მცხოვრებლებზე, რათა შეექმნა საბაბი შეჭრისთვის?

უბრძანა ასეულობით ტანკსა და ათასობით სამხედრო მოსამსახურეს გადაელახათ მეზობელი დემოკრატიული სახელმწიფოს საერთაშორისო გაერთიანების მიერ აღიარებული საზღვრები?

მრავალი თვის განმავლობაში ახდენდა მთელი რიგი სასიკვდილოდ საშიში პროვოკაციების ინსპირირებას და აშკარა თავდასხმებს, რამაც გამოიწვია მსხვერპლი მშვიდობიან მოსახლეობაში?

უარი თქვა მონაწილეობა მიეღო გონივრულ ორმხრივ დიალოგში სამშვიდობო შეთანხმების პროექტთან დაკავშირებით?

შეეცადა მოეხდინა დიდი ხნის წინათ დაგეგმილი შეჭრის გაბუნდოვანება, როდესაც 8 აგვისტოს განაცხადა, რომ თითქოს საქართველოს მხარემ მოკლა 1400 მშვიდობიანი მოსახლე და დაიწყო ეთნიკური წმენდა, – ეს „ფაქტები“ მალე უარყვეს საერთაშორისო და რუსეთის სამართალდაცვის ორგანიზაციებმა?

უარი უთხრა ევროკავშირის მეთვალყურეებს, თავისუფლად შესულიყვნენ კონფლიქტის ზონაში საბრძოლო მოქმედებათა დამთავრების შემდეგ, ამავე დროს ახორციელებდა ქართველთა მკაცრ ეთნიკურ წმენდას?“

საერთაშორისო გაერთიანებამ წესრიგისკენ უნდა მოუწოდოს რუსეთს, მიიჩნევს სააკაშვილი. მისი სიტყვებით, იმპერიალისტური რეჟიმის შესაკავებლად საჭიროა მივაღწიოთ, რომ მოსკოვმა შეასრულოს თავისი ვალდებულებანი და სრულად გაიყვანოს ჯარები „აგვისტომდელ“ პოზიციებზე, აგრეთვე ნება მისცეს ევროკავშირის ძალებს, განახორციელონ განუსაზღვრელი მონიტორინგი და შეურიგდეს მსოფლიო გაერთიანების საზოგადოდ მიღებულ აზრს ამ ტერიტორიების საქართველოს კუთვნილებად აღიარების შესახებ.

სანამ რუსეთი არ შეერთებია საერთაშორისო გაერთიანებას სრულუფლებიან პარტნიორად, რომელიც გულისხმობს კეთილმეზობლობას, უნდა შევეცადოთ არ გავწიროთ ისეთი დემოკრატიული ქვეყნები, როგორიცაა საქართველო და რომლებიც ცდილობენ კავკასია გადააქციონ უფრო სტაბილურად, უსაფრთხოდ და თავისუფლად, ასკვნის სააკაშვილი.

THE WALL STREET JOURNAL.

# რამდენად შორს წავა ამერიკა საქართველოსთან თანადგომაში?

**„ვაშინგტონ პოსტის“ მიმომხილველი ჯეკსონ დილი საუბრობს თავისი შთაბეჭდილებების შესახებ ახალგორში ამასწინანდელ მოგზაურობასთან დაკავშირებით.** აქ განთავსებული საკონტროლო-გამტარი პუნქტი (შესაბამისი თხრილებით, ქვიშიანი ტომრებითა და მავთულხლართებითძ, ავტორის აზრით, დაძაბულობას ქმნის და „დაუსრულებელ პოტენციალს უსიამოვნებისთვის“, აგრეთვე საშუალებას აძლევს ვლადიმერ პუტინს „გამოსცადოს ამერიკის ახალი პრეზიდენტი“.

„რუსეთის ანტიქართული კამპანია შორსაა დასასრულამდე“, – მიაჩნია სტატიის ავტორს. მისი აზრით, მოსკოვთან დიალოგში ობამამ თავდაპირველად „უნდა გადაწყვიტოს, რა უნდა გააკეთოს ამ კონფლიქტთან დაკავშირებით – და ამ ენერგიულ და იმპულსურ ლიდერთან დაკავშირებით „ – მხოლოდ შემდეგ მოკიდოს ხელი ბირთვული განიარაღების პრობლემასა და ირანის საკითხს“.

საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი, დილის თვალსაზრისით, თბილისშია „თავის ადგილზე“, თუმცა მის მიერ დასავლეთთან ინტეგრაციის მოდელი მიმომხილველს „მერყევად“ მიაჩნია. აგვისტოს კამპანიის შემდეგ საქართველოდან უცხოური ინვესტიციების გადინებასთან დაკავშირებით იგი ამჟამად ცხოვრობს „ბუშის ადმინისტრაციისა და ევროკავშირის ნასუფრალის ხარჯზე“, – წერს იგი.

დილი აკრიტიკებს საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის იმისთვის, რომ მან, თითქოს, თვალი დახუჭა რუსეთის მხრიდან შეთანხმების დარღვევასთან დაკავშირებით, სააკაშვილს კი – იმისთვის, რომ ქვეყანაში არ ხორციელდება დაპირებული რეფორმები: ოპოზიციური პარტიები „კვლავ გათიშული და სუსტია“, – ხოლო „პრეზიდენტის მეგობრები აკონტროლებენ მასობრივი ინფორმაციის საშუალებების დიდ ნაწილს“. იგი აღიარებს, რომ საქართველოს პრეზიდენტმა პირველმა გასცა ბრძანება სამხრეთ ოსეთზე თავდასხმის შესახებ, მაგრამ ეს ნაბიჯი, მისი აზრით, იყო მხოლოდ მარტივი მექანიზმი „სამხედრო-დიპლომატიური ხაფანგისა, რომელიც მეთოდურად დააგო პუტინმა“.

„... ომმა უბიძგა ისედაც არამსურველ ევროპელებს გადაედოთ საქართველოს ნატოში გაწევრების შემდგომი პერსპექტივები“, – წერს დილი. როგორც მან თავად სააკაშვილისგან გაიგო, საქართველოს ძალიან დიდი იმედი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების ახალი პრეზიდენტისა. „მაგრამ რომ დაიცვას ომ და პანიკაგამოვლილი საქართველო, ამერიკის შეერთებულ შტატებს, ალბათ, მოუწევს იკისროს სრულიად ახალი მასშტაბის ვალდებულებანი: არა უბრალოდ რაიმე მხარდაჭერა უშიშროების სფეროში ნატოს წევრობის სანაცვლოდ, არამედ იარაღის მიწოდებით, რომელსაც ექნებოდა შესაძლებლობა შეეჩერებინა რუსეთის ტანკები; არა მხოლოდ რჩევები, შეამციროს გადასახადები, არამედ მრავალმილიარდიანი დამატებითი სუფსიდიებით, რათა შეუნარჩუნოს ქვეყანას წონასწორობა მანამ, ვიდრე არ დაბრუნდებიან ინვესტორები“, – წერს დილი.

ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან ასეთი მოქმედება შეიძლება პუტინმა გამოიყენოს, როგორც საბაბი, უარი თქვას ამერიკის შეერთებულ შტატებთან თანამშრომლობაზე ერაყის პრობლემასთან დაკავშირებით და, როგორც საშუალება წაჰკიდოს ობამა ევროპას, დარწმუნებულია მიმომხილველი. მაგრამ თუ ახალი ადმინისტრაცია დაიწყებს მერყეობას, მაშინ ღირს განა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსკოვთან კონფრონტაციად, „მაშინ რუსეთის ჯარები, რომლებიც თავმოყრილია ახალი საზღვრის გასწვრივ, უსათუოდ შეწყვეტენ ერთ ადგილზე დგომას და დაიწყებენ მოძრაობას თბილისისკენ, რომელიც სამხრეთით სულ რაღაც 20 კილომეტრითაა დაშორებული“, – ასკვნის დილი.

The Washington Post



# ნატოში უკრაინისა და საქართველოს გამო განხეთქილებაა

**ვაშინგტონი და მისი რამდენიმე ევროპელი მეკავშირე ნატოსთან ურთიერთობაში გაითიშნენ იმ აზრთან დაკავშირებით, თუ რა რეაგირება უნდა მოახდინონ საქართველოსა და უკრაინის განაცხადზე ალიანსში შესვლის გამო და ღირს თუ არა, განახლდეს რუსეთ-ნატოს კონტაქტები უმაღლეს დონეზე, რაც შეწყდა რუსეთის ჯარების საქართველოში შეჭრის შემდეგ.**

ბრიუსელში ევროატლანტიკური ალიანსის საგარეო საქმეთა მინისტრების შეხვედრის წინა დღეს ამერიკელებმა, როგორც იტყობინებიან, შესთავაზეს ახალი ფორმულა, რომელიც კიევსა და თბილისს თანდათანობით მიიყვანდა ნატოს წევრობამდე. მაგრამ სულ ცოტა ექვსმა ევროპულმა ქვეყანამ მხარი არ დაუჭირა ამ წინადადებას, რომელიც წამოაყენა ბრიტანეთმა. როგორც ელოდებიან, ორდღიანი სამიტი შეიძლება დამთავრდეს სკანდალით, წერს ბრიტანული გამოცემა.

1999 წლიდან ნატოში შესვლის კანდიდატებს ენიჭებოდათ წევრობის მოქმედებათა გეგმა (მაპიძ. ბუქარესტის სამიტზე მიმდინარე წლის აპრილში ამერიკის პრეზიდენტი გამოვიდა უკრაინისა და საქართველოსთვის მაპის მინიჭებასთან დაკავშირებით, მაგრამ წინააღმდეგი წავიდა გერმანიის კანცლერი ანგელა მერკელი, რომლის აზრითაც ასეთი ნაბიჯი გააძლიერებდა რუსეთთან წინააღმდეგობას. მაშინ მიღებულ იქნა კომპრომისული გადაწყვეტილება: მაპი არ მიანიჭონ, მაგრამ დაარწმუნოს საქართველო და უკრაინა, რომ, ადრე თუ გვიან, ისინი მიღებული იქნებიან ალიანსში.

„მთელი ეს დისკუსია მაპთან დაკავშირებით იმდენად პოლიტიზირებული გახდა, რომ აზრიც კი დაკარგა. ეს გეგმა გახდა გარკვეულწილად პოლიტიკური სიმბოლო, – განაცხადა ერთ-ერთმა მაღალმა ამერიკელმა ჩინოსანმა. – ჩვენ უნდა შევეცადოთ, რომ ეს დისკუსია გვერდზე გადავდოთ“.

ბრიტანეთი, როგორც გამოცემა აღნიშნავს, ცდილობდა შეეთავაზებინა კომპრომისული ვარიანტი: მაპი ძველებურად რჩება მნიშვნელოვნად, მაგრამ საქართველოს და უკრაინის შესვლა მოხდება ცალკეული კომისიების მეშვეობით ნატოსა და განმცხადებლებს შორის.

უდიდესი ევროპული ქვეყნები, ხაზგასმით აღნიშნავს სტატიის ავტორი, გამოდიან წინააღმდეგ. აგვისტოს ომის კონტექსტში ისინი საქართველოს განიხილავენ დიდ „ბოროტმოქმედად“, ხოლო მის პრეზიდენტს მიხეილ სააკაშვილს, როგორც არასაიმედო პოლიტიკოსს. პოლიტიკური არასტაბილურობა უკრაინაში ხდის ამ ქვეყანასაც, მათი აზრით, ასევე გამოუყენებლად ბლოკში შესვლისთვის. ერთდროულად მათ სურთ თავიდან აიცილონ მოსკოვთან შემდგომი კონფრონტაცია. დასავლეთევროპული ბანაკის აზრით, ეს პოსტსაბჭოთა ქვეყნები არა მხოლოდ გააძლიერებენ ნატოს უშიშროებას, არამედ პირიქით, თავად წარმოადგენენ ალიანსისთვის უშიშროების საფრთხეს.

„შეთანხმება არ არის, – განაცხადა უკრაინის დიპლომატიის მაღალმა ჩინოსანმა. – მაპი არ მიენიჭება უკრაინას. ეს საკითხი დღის წესრიგიდან მოიხსნა“. ელოდებიან, რომ ამჟამინდელი ტრანსატლანტიკური გათიშვა მიგვიყვანს არსებითად ბუქარესტის სამიტის ფორმულის ასლამდე.

**იენ ტრეინორი**

Guardian

ხედვა შორიდან

## საიდ-ემინ იბრაგიმოვი:

# „ფაქტია, რომ საქართველო ბრძოლის პირველ რაუნდს ჯერჯერობით აგებს...“

**— ბევრს საუბრობენ გაეროს რეფორმირების საჭიროებაზე, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე ყბადაღებულ რიტორიკად გადაიქცა. როგორ ფიქრობთ, არაფორმალური რეფორმა კვლავ რომელ საერთაშორისო სტრუქტურებს სჭირდება?**

— ეს საკითხი პრობლემათა ძალიან დიდ წრეს მოიცავს და საერთაშორისო სამართლის ზოგად სისტემას უკავშირდება. მასზე პასუხის გაცემა კი არც ისე ადვილია, საჭიროა სერიოზული სამეცნიერო კვლევები და დასაბუთება. ჩემი აზრით, საერთაშორისო სამართალი, რომელსაც ნებისმიერი აგრესიის შესაჩერებლად, რა ნატურალური თუ ხელოვნური საბაბითაც არ უნდა წარმოებდეს იგი, არა აქვს აღსრულების ქმედითი მექანიზმი, სასწრაფო დახვეწას მოითხოვს. საერთაშორისო სამართლის დაუგეგმავი თუ მიზანმიმართული შეცდომები უპირატესობას ძლიერს ანიჭებენ. მათ კი თავის დაცვა ძლიერის პოზიციიდან შეუძლიათ, ხოლო სუსტს სამართლებრივი დაცვისთვის არანაირ შანსს არ უტოვებენ. მაგალითად, ჩეჩენი ხალხის ხმა, რომელიც ილუპება, მაინც არ იქნება გაგონილი, მაშინ, როცა რუსეთს სიმართლისა თუ სიცრუის გამოყენებით იმის საშუალება აქვს, რომ ნებისმიერ კრიზისში თავისი მსხვერპლნი დაადანაშაულოს. მაგალითად, ხალხების თვითგამორკვევისა და სახელმწიფოს განუყოფლობის უფლება ორმაგი პრინციპების გამოყენების საშუალებას იძლევა. ამას კი ძლიერი იყენებს. სამართლის ამგვარი ნაკლოვანება მსოფლიოს სხვადასხვა კუთხეში მრავალი ცნობილი ტრაგედიის მიზეზი გახდა. 1990-იან წლებში ამ დაგებულ ხაფანგში ჩეჩენი ხალხიც გაება. ვერ დავიჯერებ, რომ ამ ნაკლოვანებაში იმთავითვე ანგარებიანი მიზანი არ იყოს ჩადებული.

**— როგორ ფიქრობთ, ქართულმა დელეგაციამ თქვენი დოკუმენტები რატომ არ გამოიყენა?**

— მე მგონი იმიტომ, რომ ქართული დელეგაციის წევრები ისევე, როგორც რუსული პროპაგანდის გავლენის ქვეშ მყოფი ბევრი ადამიანის ცნობიერებაში ჩეჩნებს კვლავ ტერორისტებად მიიჩნევენ, ამიტომაც ჩეჩენის მხრიდან კარგს არაფერს ელიან, ჩეჩენთან საქმის დაჭერა არ უნდათ. მე სესიის წინა ღამეები არ მეძინა, იმას ვფიქრობდი, საქართველოს დელეგაცია რა საკითხებს უნდა დაყრდნობოდა, როცა რუსები საქართველოს უკანონო ქმედებებზე არგუმენტების მოყვანას დაიწყებდა. როცა ქართული დელეგაციის წევრებთან მივდიოდი და ჩემს დოკუმენტებს ვთავაზობდი, ისინი უბრალოდ იმიზეზებდნენ, რომ ეჩქარებოდათ. მე ასაკოვანი კაცი ვარ, მათ მამად ვეკუთვნი, გადავლახე ჩემი თავმოყვარეობა და ამ დოკუმენტების გადაცემას მაინც შევეცადე. მხოლოდ ერთმა აიღო ისინი, თანაც ისე, თითქოს დიდ პატივს მდებდა და არა პირიქით. მე ჩემს თავს მთხოვნელის როლში ვგრძნობდი, თუმცა მათგან არაფერი მინდოდა, საქართველოს წარმომადგენელს, რომელსაც მამუკა ერქვა, გადავეცი ჩემი ღია წერილი ინგლისურ ენაზე, სადაც საერთაშორისო სამართლის პუნქტებზე მრავლადაა მითითება, დამხმარე მასალად მისი გამოყენება ნამდვილად შეიძლებოდა, მაგრამ არც ერთი მითითება, რომელიც მე ქართველებს გადავეცი, ქართული დელეგაციის გამოსვლაში არ მომისმენია. მამუკას კი, რომელიც შემპირდა, რომ დამირეკავდა (ორივე სტრასბურგში ვცხოვრობთ), არ დაურეკავს, ვიფიქრე, რომ მათ ჩემთან ურთიერთობა ჩემი ჩეჩნური წარმომავლობის გამო არ უნდოდათ. რუსულმა პროპაგანდამ ხალხს ტვინი აურია. ქართველებს უნდა ესმოდეთ, რომ რუსეთული პიარი ვისაც გინდა, რადაც გინდა იმად გადააქცევს. ქართველებს ეს თავის თავზე ყველაზე უკეთ უნდა ეგრძნოთ. ჩვენ მეზობელი და მონათესავე ხალხი ვართ, აუცილებლად უნდა მოვძებნოთ დაახლოების და გაგების გზები იმისდა მიუხედავად, რომ არსებობს რუსეთის მიერ განზრახ დათესილი განხეთქილების მარცვლები.



**— ქართველ პარლამენტარებს კონკრეტულად რა მიუთითეთ?**

— სხვადასხვა განმარტება. მაგალითად, რა არის აგრესია. აგრესია თანამედროვე საერთაშორისო სამართლის ცნებაა, რომელიც მოიცავს გაეროს წესდების განსაზღვრულ ნებისმიერი ძალის უკანონო გამოყენებას ერთი სახელმწიფოს მიერ სხვა სახელმწიფოს ან ერის (ნაციისძ ტერიტორიული მთლიანობისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობის ხელყოფის მიზნით.

ერთი სახელმწიფოს მეორე სახელმწიფოზე შეიარაღებული თავდასხმა მშვიდობისა და კაცობრიობის უსაფრთხოების წინააღმდეგ ჩადენილ საერთაშორისო დანაშაულად ითვლება. აგრესიის ცნება მოიცავს ისეთი ინიციატივის ნიშნებს, როცა რომელიმე სახელმწიფომ მეორეს მიმართ პირველმა გამოიყენა ძალა.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 353-ე სტატია აცხადებს:

1. აგრესიული ომის დაგეგმვა, მომზადება და დაწყება — ისჯება 7-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

2. აგრესიული ომის წარმოება — ისჯება თავისუფლების აღკვეთით 10-დან 15 წლამდე.

ასევე ამ დოკუმენტებში მე მომყავდა იურიდიული დადასტურება იმისა, რომ რუსეთმა მოახდინა ვერაგული თავდასხმა საქართველოზე, ისე რომ თავის ქვეყანაში საომარი მდგომარეობა არც კი გამოუცხადებია. ინფორმაციისთვის გამოვიყენე საკონსტიტუციო ფედერალური კანონის 2002 წლის 30 იანვარის (№ 1-ФКЗძ დებულება:

სტატია III: — საომარი მდგომარეობის შემოღების საფუძვლები:

რუსეთის კონსტიტუციის 87-ე თავის მესამე ნაწილის მიხედვით რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის მიერ რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე ანდა მის ცალკეულ ადგილებში სამხედრო მგომარეობის შემოღების საფუძველია რუსეთის ფედერაციის წინააღმდეგ განხორციელებული აგრესია ანდა აგრესიის უშუალო საფრთხე.

დოკუმენტებს მე დავამატე ის გადაწყვეტილება, რის საფუძველზეც მიიღეს საქართველო ევროსაბჭოში. მეათე პუნქტის vii პარაგრაფში რუსეთის ვალდებულებად შემდეგია ჩაწერილი: „საერთაშირისო და შიდა საკამათო საკითხები მშვიდობიანი მეთოდებით გადაწყდეს“. ეს ასევე გახლავთ ევროსაბჭოს ყველა წევრი-ქვეყნის ვალდებულება-გადაწყვეტილება: თავისი მეზობლის წინააღმდეგ ნებისმიერი ფორმის მუქარაზე უარი უნდა ითქვას.

ქართველებს მე ასევე გადავეცი სხვა სამართლებრივი დოკუმენტებიც, რომლებიც ქართულ დელეგაციას დაეხმარებოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს იგნორირებულ იქნა. მე, რასაკვირველია, არავითარ შემთხვევაში არ მივიჩნევ, რომ საერთაშირისო სამართლის ჩემეული ცოდნა უფრო დიდია, ვიდრე ქართული დელეგაციის წევრებისა, მაგრამ ვფიქრობ, რომ ის, რაც მათ შევთავაზე, ნამდვილად გამოადგებოდათ, რადგანაც მე აგერ უკვე 18 წელიწადია სწორედ ამ საკითხებითა ვარ დაკავებული.

**— მაინც რა იყო ჩვენი სისუსტის ყველაზე თვალშისაცემი ნიშნები?**

— პირველი, რაც თვალში მეცა (ალბათ, სხვებსაცძ ეს იყო თავდაუჯერებლობა, რომელიც დამნაშავე მხარეს უნდა ჰქონდეს და არა იმას, ვინც თავის სიმართლეში დარწმუნებულია. ქართული დელეგაციის ზოგიერთ წევრს ყურადღების აქცენტი იმაზე გადაჰქონდა, რომ საქართველო დაჟინებით არ ითხოვს პასეში რუსეთის წევრობის შეჩერებას. ქართველები თავის მოხსენებებს ფურცლიდან კითხულობდნენ, რამაც კოსაჩოვს იმის საბაბი მისცა, რომ ეთქვა — ქართველები ფურცლიდან კითხულობდნენ, ჩვენ კი — სულიდანო.

**— ევროსაბჭოს ამ პუნქტის მიხედვით, ახლა რუსეთმა აჭარისა და იმერეთის მიტაცება რომ გადაწყვიტოს იმიტომ, რომ საქართველოსა და რუსეთს პირობა აქვთ დადებული, რომ საბრძოლო მოქმედებებს არ მიმართავენ ანუ რუსული ტანკი ახლა ბათუმსა და ქუთაისს რომ მიეჭრას ქართველი ჯარისკაცი რუსული ტანკის წინ ევროსაბჭოს შეთანხმების ფურცლის აფრიალებით, უნდა შემოიფარგლოს? ნატოს წევრი რომ ყოფილიყო საქართველო, ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების პუნქტის პარალელურად ამოქმედდებოდა „ევროსაბჭოს პუნქტი საქართველო-რუსეთის მშვიდობიანი პაქტის“ შესახებ და ამიტომაც საქართველოს სამხედრო აგრესიაზე პასუხი არ უნდა გაეცა? სამაგიეროდ, საქართველოს ტერიტორიაზე ხელი ნატოს სხვა წევრ სახელმწიფოებს უნდა გამოეღოთ? ძალიან ბევრი კითხვა უპასუხოდაა დარჩენილი...**

— ვიმეორებ, ევროსაბჭოში შესვლისას საქართველომ და რუსეთმა ვალდებულება იკისრეს, რომ ნებისმიერ საერთაშორისო და შიდა საკამათო საკითხებს მხოლოდ მშვიდობიანი გზით გადაწყვეტენ, ძალის გამოყენებაზე უარს იტყვიან. ამ კონკრეტულ შემთხვევაში რუსეთმა დაარღვია ეს შეთანხმება და თანაც ცდილობს ყველას ამცნოს, რომ სწორედ საქართველოა მისი დამრღვევი. რუსეთის აგრესორობის დამტკიცება კი ძალიან ადვილი იყო.

**— დარწმუნებული ვარ, რომ ქართულ ტანკს ერთი წუთით მაინც რუსეთის საზღვარი რომ გადაეკვეთა, საქართველოს მყისვე მარტო ევროსაბჭოდან კი არა, სხვა სტრუქტურებიდანაც გამოაგდებდნენ.**

— სრულიად გეთანხმებით. როცა რუსეთმა ევროსაბჭოში შესვლის თაობაზე განაცხადი შეიტანა, ჯოხარ დუდაევმა ერთ ჟურნალისტს ასე უთხრა: „თუ რუსეთს ახლა ევროსაბჭოში მიიღებენ, მაშინ ევროსაბჭო რუსეთის შინა საქმე გახდებაო“. პასეში რუსული დელეგაცია აშკარად პრევალირებს, იგი ენერგორესურსების მიმართ ინტერესის გამო, რასაც უნდა, იმას აკეთებს. მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს, რომ საკუთარი სიმართლისთვის ბრძოლა არ ღირს. როცა საერთაშორისო სამართლის კარგი ცოდნა გაქვს, მაშინ ბრძოლა შესაძლებელია. მხოლოდ ასე გაიმარჯვებ. ფაქტია, რომ საქართველო ბრძოლის პირველ რაუნდს ჯერჯერობით აგებს. ამიტომ თქვენ ევროსაბჭოს მეორე, 2009 წლის იანვრის სხდომისთვის კარგად უნდა მოემზადოთ. თუ ჩემი დახმარება საჭირო იქნება, სიამოვნებით დაგეხმარებით, თუ არა და ჩემს თავს არავის მოვახვევ.



**ია მერკვილაძე,**

**„სრ“ საკ. კორ. აშშ-ში, ნიუ-იორკი-სტრასბურგი**

**(გაგრძელება იქნება)**

**გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ“ № 224-225.**

ფორუმი

## „მაესტრო“ გართობიდან პოლიტიკაში გადადის

**დღეიდან „მაესტროს“ საკაბელო ქსელში საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემებით შეუძლია გავიდეს.**

**ტელეკომპანია „მაესტრო“ აქამდე სპეციალიზებული ლიცენზიის მფლობელი იყო, რაც გულისხმობს გასართობი და შემეცნებითი გადაცემებით მაუწყებლობას. ლიცენზიის მოდიფიცირების შედეგად კომპანიამ საზოგადოებრივ-პოლიტიკური გადაცემების გაშვების უფლება მოიპოვა.**

**დღეიდან ტელეკომპანია ყოველგვარი კანონდარღვევის გარეშე შეძლებს ნებისმიერი თემატიკის გადაცემებით მაუწყებლობას.**

## აღდგა აჭარის გეოლოგიური სამსახური

**ერთობლივ რეალურ წარმატებად აფასებს საპარლამენტო ფრაქცია „ქრისტიან-დემოკრატების“ თავმჯდომარე გიორგი ახვლედიანი აჭარის გეოლოგიური სამსახურის აღდგენას.**

**როგორც პარლამენტის სხდომაზე ახვლედიანმა განაცხადა, აჭარის გეოლოგიის სამსახური, რომელსაც ფუნქციონირება გაურკვეველი მიზეზების გამო ჰქონდა შეწყვეტილი, აღდგა.**

**მისივე თქმით, უკვე შესაძლებელია აჭარაში გეოლოგიური საქმიანობის წარმოება და შესაბამისი დასკვნების გაკეთება, რაც ერთობლივი რეალური წარმატება და გამარჯვებაა.**

**ახვლედიანმა აჭარის გეოლოგიური სამსახურის აღდგენის საკითხი ჯერ კიდევ აჭარის უმაღლესი საბჭოს წინასაარჩევნო კამპანიის დროს სესიაზე დასვა. სამსახურის აღდგენის აუცილებლობის მიზეზად კი, აჭარის რეგიონში მეწყერები და წყალდიდობები დაასახელა.**

## მხარეთმცოდნეობის მუზეუმი არ არსებობს, არადა აფინანსებენ

**ლაგოდეხში მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციები ადგილობრივ ხელისუფლებას შტატების ხელოვნურად გაზრდაში და სამსახურებში არაკვალიფიციური კადრების მიღებაში ადანაშაულებენ.**

**როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს არასამთავრობო ორგანიზაცია „სტრატეგიული კვლევებისა და განვითარების ცენტრში“ განუცხადეს, რვა წელიწადზე მეტია ფინანსდება მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შტატი და დირექცია, თუმცა მუზეუმი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს.**

**არ ეწყობა სამუზეუმო ექსპონატების გამოფენები, რადგან ისტორიული მემკვიდრეობის ნიმუშები ბანკშია ჩაკეტილი. მუზეუმს საკუთარი შენობა არ აქვს. ამ ეტაპზე იგი შეკედლებულია ისეთ ავარიულ შენობაში, სადაც მუშაობა პრაქტიკულად შეუძლებელია. ამ ყველაფრის მიუხედავად, მუზეუმის შტატი მუდმივად იზრდება, — აღნიშნავენ არასამთავრობო ორგანიზაციაში.**

## ხელშებორკილი ქალბატონი მტკვარში გადააგდეს

**ხანშიშესული ქალბატონი მტკვარში ხელებშეკრული გადააგდეს, რის შედეგადაც იგი გარდაიცვალა. საპატრულო პოლიციის ინფორმაციით, მისი ცხედარი მტკვრის მარცხენა სანაპიროსთან გამვლელმა იპოვა. გარდაცვლილის ვინაობა დგინდება. იგი 60-65 წლის ქალია.**

**თავდაპირველად სამართალდამცავები თვითმკვლელობის ვერსიაზე მუშაობდნენ, თუმცა ცხედრის დათვალიერების შემდეგ გაირკვა, რომ ქალს თოკით ხელები შეუკრეს და მტკვარში გადააგდეს.**

**სისხლის სამართლის საქმე განზრახ მკვლელობის მუხლით აღიძრა.**

## „ბილაინი“ - რაჭაში

**კომპანია „ბილაინის“ დაფარვის ზონა რაჭაზეც გავრცელდა. ამის შესახებ კომპანიიდან იტყობინებიან.**

**როგორც „ბილაინში“ აცხადებენ, რაჭაში ბოლო თვეების განმავლობაში რამდენიმე ათეული საბაზო სადგური დამონტაჟდა.**

**ამასთან, თბილისსა და რეგიონებში უმჯობესდება სიგნალის ხარისხიც. დაფარვის ზონის გაფართოებას „ბილაინი“ ამ დროისთვისაც აგრძელებს.**

ინტერპრესნიუსი და ჯი-ეიჩ-ენი

დაფასება

# შოთა ხაბარელი ევროპაში საუკეთესოა



**ქართველმა ძიუდოისტებმა წლეულს არნახულ წარმატებებს მიაღწიეს: ეროვნულმა ნაკრებმა მეორედ მოიპოვა გუნდური მსოფლიოს ჩემპიონობა; პეკინის ოლიმპიურ თამაშებზე ირაკლი ცირეკიძემ კვარცხლბეკის უმაღლესი საფეხური დაიპყრო, ხოლო ევროპის ჩემპიონატზე ჩვენმა ფალავნებმა 4 მედალი დაიმსახურეს, მათ შორის — ერთი ოქროსი**. ამ მიღწევებში დიდი წვლილი მიუძღვის ნაკრების მთავარ მწვრთნელს, ოლიმპიურ ჩემპიონ შოთა ხაბარელს, რომელიც გუნდურ ჩათვლაში ორგზის ევროპის ჩემპიონატის გამარჯვებულია, ორ-ორჯერ პირად პირველობაში მეორე და მესამე ადგილები დაიკავა, 1983 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე „ბრინჯაო" ერგო, ხოლო საბჭოთა კავშირის ხალხთა VIII სპარტაკიადაზე ყველას აჯობა.

ათენში ევროპის ძიუდოს კავშირის კონგრესზე შოთა ხაბარელს გარჯა დაუფასდა — იგი მეოთხედ (2002, 2003, 2006, 2008 წ.წ.) დაასახელეს კონტინენტის საუკეთესო მწვრთნელად, ხოლო საქართველოს ნაკრები რჩეულთა შორის რჩეულად აღიარეს.

უნივერსალური ორთაბრძოლები

# ქართველთა უპირატესობით

**დიდუბის მძლეოსნობის სასახლეში ორ დღეს გრძელდებოდა კავკასიის ჩემპიონატი უნივერსალურ და ორიენტალის თავისუფალ ორთაბრძოლებში (ფედერაციის პრეზიდენტი — სოსო დოლიძე).**

შეჯიბრება მაღალ დონეზე იყო ორგანიზებული. მედლებისთვის პაექრობებში საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის 70-ზე მეტი სპორტსმენი მონაწილეობდა 3 ასაკობრივ ჯგუფში.



დაძაბული შეხვედრების შემდეგ ჩემპიონები გახდნენ: **ჭაბუკებში** — აკაკი გენგაშვილი, დავით ჯაბაური (ორივე — გორიძ, ლაშა ჭოხონელიძე (საგარეჯოძ; **ახალგაზრდებში** — თემურ ქარელიშვილი (გორიძ, გიგა მირაქოვი (თბილისიძ, თორნიკე მუჩიაშვილი (საგარეჯოძ, სერგო გრიგალაშვილი (თბილისიძ; **უფროსებში** — ვლადიმერ ჯანეზაშვილი (გორიძ, თემურ ღლონტი (სენაკიძ, გიორგი ქალდანი (თბილისიძ.

შეჯიბრების ორგანიზატორები თანადგომისა და დახმარებისათვის მძლეოსნობის სასახლის დირექტორის — გივი ბედოშვილისა და თბილისის კარდიოლოგიური კლინიკის — „ღია გულის" ქირურგ სულხან ლომინაძის მადლიერნი არიან.

ტურნირის გამარჯვებულები და პრიზიორები შესაბამისი ხარისხის დიპლომებით, მედლებითა და ფასიანი საჩუქრებით დაჯილდოვდნენ.

**ზაირა გელხაური,**
**თინათინ ნიკურაძე**

ჭადრაკი

# გაფრინდაშვილის თასს ჩამოართმევენ?



**ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციის (ფიდესძ პრეზიდენტის კირსან ილუმჟინოვის განცხადებით, ასეთი საშიშროება მოელის უკრაინის ნაკრებს, რომელმაც დრეზდენში მსოფლიო საჭადრაკო ოლიმპიადაზე ქალთა და ვაჟთა ნაკრებების საერთო შედეგით ნონა გაფრინდაშვილის თასი დაიმსახურა.** საფრთხე იქიდან მოდის, რომ უკრაინის ვაჟთა ნაკრების ლიდერმა ვასილი ივანჩუკმა დასკვნითი, მე-11 ტურის შემდეგ უარი თქვა დოპინგ-კონტროლის გავლაზე.

ილუმჟინოვის თქმით, გაუქმდება ივანჩუკის მიერ ოლიმპიადაზე ნათამაშები ყველა პარტია, ამის გამო არსებითი ცვლილებაც მოხდება ოლიმპიადაზე უკრაინის ნაკრების შედეგებშიც. ყოველივე ამის შემდეგ გაფრინდაშვილის თასი, ალბათ, სომხეთის გუნდს გადაეცემა.

წყალბურთი



# უკრაინაში — ძალების გამოსაცდელად

**დღეს დნეპროძერჟინსკში დაიწყება და 7 დეკემბერს დამთავრდება წყალბურთელთა უკრაინის ღია ჩემპიონატი, რომელშიც საქართველოს ნაკრებიც (ასათიანი, ნამორაძე, ძენძაძე, ხვედელიანი, ლაითაძე, რუსიშვილი, რურუა (კაპ.ძ, კოტარია, რაფავა, ნიკოლაიშვილი, ბუტიკაშვილი, ბაღათურია, ჯაფარიძე, მთავარი მწვრთნელი ვლადიმერ ისელიძე, მწვრთნელი ჯუმბერ წიკლაურიძ მონაწილეობს.** ჩვენი გუნდი შეჯიბრებაზე საწყლოსნო სახეობათა ფედერაციის ახალი პრეზიდენტის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის გენერალური მდივნის ალექსანდრე ბითაძის ხელმძღვანელობით გაემგზავრა. ქართველი წყალბურთელები ამ ასპარეზობით იწყებენ მზადებას ევროპის ჩემპიონატის B ჯგუფის საკვალიფიკაციო ტურნირისთვის, რომელიც გაისად 8-10 აპრილს გაიმართება. აღსანიშნავია ისიც, რომ იანვრის მიწურულს სტარტს აიღებს ეროვნული ჩემპიონატი 6 გუნდის მონაწილეობით. მიზანი ერთია — ქართველ წყალბურთელთა მიერ 2012 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიის მოპოვება.

**ინგა შეწირული**

ჩრდილოეთში — ჩვენზე

# თბილისი სოჭის ოლიმპიადის წინააღმდეგია

**20 ნოემბერს საქართველომ ოფიციალურად სთხოვა საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტს (სოკიძ სოჭიდან 2014 წლის ზამთრის ოლიმპიადის გადატანა. საფუძველი — რუსეთის ეს ქალაქი სახიფათო ადგილია სპორტულ ღონისძიებათა გასამართავად.**

თბილისი არ აზუსტებს, სახელდობრ, რა არის საშიში. იქნებ, აგვისტოში ომის გამჩაღებელი საქართველოს სიახლოვე?

ჯერჯერობით ასეთმა დემარშმა მხოლოდ ავსტრიულ ზალცბურგის ხელისუფალთა გამოცოცხლება გამოიწვია (ამ ქალაქმა ხომ სოჭელებთან წააგო თამაშების მასპინძლობის უფლებაძ: ეგაო და მეორე შანსი გაგვიჩნდაო, დანარჩენმა მსოფლიომ კი მხრები აიჩეჩა.

„თბილისმა სასაცილოდ გაიხადა თავი. ქართველებს ოლიმპიური ქარტიის გადაკითხვას ვურჩევ, უთქვამს „კп"-ს კორესპონდენტისთვის რუსეთის ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრესსამსახურის ხელმძღვანელს გენადი შვეცს. — სოკი თავისი ტრადიციების შესაბამისად არასდროს განიხილავს პოლიტიკურ პრეტენზიებს".

აქვე სათქმელად, სექტემბერში თბილისმა უკვე სცადა ევროპარლამენტის სესიაზე რუსეთისათვის ოლიმპიადის გამართვის უფლების ჩამორთმევის საკითხის გატანა. აქედან არა გამოვიდა-რა. არც ახლა გამოვა.

**სერგეი ზელენცოვი**

КОМСОМОЛЬСКАЯ ПРАВДА

**მცირე შენიშვნა: „кп" და იმის ჟურნალისტები რომ საქართველოს საკბენად შემთხვევას არ გაუშვებენ, ჩვენ, დიდი ხანია ვიცით ეს. აი, დამატებით საბაბს რატომ ვაძლევთ საკბენად, ეს არის გაუგებარი. არ ვიცოდით, რომ სოჭის ოლიმპიადას რუსეთს არავინ „ჩამოართმევს"?**

ინტერნეტიდან



## მერე რა, რომ დააგვიანა?

**მხოლოდ სამთო თხილამურების მოყვარულებმა კი არა, მაშინ მთელმა მსოფლიომ შეიტყო ცნობილი ავსტრიელი სამთო მოთხილამურის ჰერმან მაიერის ტრაგედია, ის საშინლად დაიმტვრა და ბევრი აღარც მოელოდა, თუ როდესმე თხილამურებზე ისევ დადგებოდა, მაგრამ ამ ქვეყნად რაღა არ ხდება და ჰერმანი მაინც დაბრუნდა დიდ სპორტში და, თუ გადაჭარბებულად არ მიიჩნევთ, სასწაულებიც მოახდინა. ასე იყო ახლაც: მორიგი ტრავმის შემდეგ ის არ აპირებდა კანადაში, ლეიკ-ლუიზში მსოფლიო თასის ეტაპზე მონაწილეობას, მაგრამ ბოლო წუთებში გადაიფიქრა და სწორედაც მოიქცა. აქ მან თავის კარიერაში 24-ე, სარეკორდო გამარჯვება მოიპოვა სუპერგიგანტში — 1.29.84.**

რეკორდსმენების რეიტინგში გამარჯვებების საერთო რიცხვით — 54 — ით მეორე ადგილზეა, ჩამორჩება რა მხოლოდ ლეგენდარულ შვედ სამთო მოთხილამურეს ინგემარ სტენმარკს — 86.

## ყველაზე უხვშემოსავლიანი შარაპოვა

**ასე აღიარა ჟურნალმა „ფინანს", რომელიც ტრადიციულად ყოველწლიურად ადგენს უმდიდრესი ადამიანების რეიტინგს. ამჟამად მისი ყურადღების ცენტრში აღმოჩნდნენ რუსი სპორტსმენები. მისი მონაცემების მიხედვით 2008 წლის შედეგებით რეიტინგს სათავეში უდგას ჩოგბურთელი მარია შარაპოვა.** მიმავალი წლის შემოსავლების მიხედვით მას 25,5 მილიონი დოლარი გამოუმუშავებია. თუმცა იქვე შენიშნავენ, რომ ეს მხოლოდ სპორტული წარმატებებით მოპოვებული ფული რომ იყოს, მაშინ პირველ ადგილზე კალათბურთელი ანდრეი კოვალენკო იქნებოდაო, რომელიც თავისი 15,1 მილიონი დოლარით უმდიდრესთა 25-კაციან სიაში მეორე ადგილზეა. მაგრამ საერთო თანხაში გათვალისწინებულია სარეკლამო კონტრაქტებით მოპოვებული ფულიც. ამ მხრივ კი ჩოგბურთის ლამაზმანს ბევრი ვერ შეეჯიბრება.

აღსანიშნავია ერთი გარემოებაც — რეიტინგის 25-კაციან სიაში 21 ჰოკეისტია, საიდანაც რუსეთში მხოლოდ ორი თამაშობს, დანარჩენები კი ამერიკაში, ჰოკეის ეროვნულ ლიგაში იხვეჭენ მილიონებს.

ამ სიაში ორი ფეხბურთელიცაა მოხსენიებული — ალექსანდრე კორჟაკოვი და პიტერ ოდემვინგე — 3,2 მილიონით. ვითომდა იმის გამო, რომ ფეხბურთელები (თუ მათი პატრონ-მფარველებიძ საიდუმლოდ ინახავენ თავიანთ შემოსავლებს, სიაში ვერ მოხვდა ზენიტელი ანდრეი არშავინი, რომელმაც, როგორც ამბობენ, სამ მილიონზე მეტი თანხა გამოიმუშავა. და კიდევ, ვინაიდან, მიუხედავად იმისა, რომ მსოფლიო პირველობაც კი ტარდება, პოკერს არ აღიარებენ სპორტის სახეობად, არადა ივან დემიდოვმა, იმ პირველობაზე მეორე საპატიო ადგილი რომ მოიპოვა, 5,8 მილიონი დოლარი მიიღო პრიზად.



## ღალატი რა საპატიებელია

**ყველას უკვირდა სახელგანთქმული იტალიელი მოდელის და ფეხბურთელების მომხიბვლელის ელისაბედ კანალისის განშორება „პარმის" ბრაზილიელ ლეგიონერთან რეჯინალდოსთან.**

კანალისი ხომ ცნობილია თავისი მქუხარე რომანებით იტალიური და მსოფლიო ფეხბურთის ბევრ ვარსკვლავთან, რომელთა შორის იყვნენ კრისტიან ვიერი და დიდიე დროგბა. ის რეჯინალდოს წლევანდელი აპრილიდან დაუახლოვდა, მაგრამ ოქტომბერში მათ შორის „შავმა კატამ გაირბინა", თუმცა, აქამდე უცნობი იყო — რატომ?



და აი, ლამაზმანმა ამ დღეებში კომენტარები გაუკეთა ამ ამბავს: „მან მე მიღალატა, — თქვა კანალისმა, — ჩვენს შორის იდგა კიდევ ერთი ქალი — ბრაზილიელი მოდელი დანი სამვისი. ამის ატანა კი არ შემიძლია. ამიტომაც ჩემი მხრიდან ყველაფერი პატიოსნად გაკეთდა, ასე რომ, შემდგომში, მამაკაცის არჩევისას უფრო წინდახედული ვიქნები".

◉ მომისმინეთ!

# ქვრივ-ობლებმა რა დავაშავეთ?

**პატივცემულო რედაქცია!**
**ვიცი წერილები ბევრია, კითხვები უფრო მეტი, ყველა მათგანზე ვერც წერილს მოამზადებთ და მით უმეტეს, ვერ უპასუხებთ, მაგრამ ცდა ბედის მონახევრეაო. იქნებ, რამე ფორმით გამოეხმაუროთ ამ წერილს და ჩვენი თავი შეახსენოთ მათ, ვისზეც არის დამოკიდებული ეს საკითხი.**

პრესაში ბევრს დავობენ პენსიებზე, იქნება ეს მოხუცებულობისა თუ დამსახურების მიხედვით, სოციალურად დაუცველთა თუ ლტოლვილთა, მაგრამ არავის არ ახსენდება, რომ საქართველოში, სამწუხაროდ, ბევრია ობოლი ბავშვი, რომლებიც თვეში 55 ლარის ოდენობის პენსიას იღებენ სახელმწიფოსგან.

გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ (№221ძ, ბატონ იაკობ ლეჟავას წერილში ლაპარაკია იმაზე, რომ ქართულმა ოჯახებმა საქართველოს დემოგრაფიაზე უნდა იფიქროს!

ჯერ დაუბადებელ ბავშვებზე წინასწარ ზრუნვა ძალიან კარგია, მაგრამ რა დააშავეს უკვე დაბადებულებმა?

დავამთავრე უნივერსიტეტი (რუსული ენისა და ლიტერატურის სპეციალობითძ, ამჟამად ვარ უმუშევარი, მეუღლე გარდამეცვალა სამი წლის წინათ (ინფარქტითძ. მყავს სამი შვილი — 10, 11, 12-წლისანი. ვცხოვრობთ მხოლოდ ამ პენსიის (165 ლარიძ ამარა. ადრე შევარდნაძის მეუღლემ რჩევა მისცა პენსიონერ დიასახლისებს 8-ლარიანი პენსიის გადანაწილებაზე, იქნებ არც ახლანდელი პრეზიდენტის მეუღლემ დაიშუროს რჩევები....

მარტო ჩემს ქუჩაზე, სამწუხაროდ, ჩემს გარდა კიდევ ოთხი ქვრივი და ცხრა ობოლია (არასრულწლოვანიძ. რას ურჩევთ, მიატოვონ სწავლა და ყველანი „ბაზრობაზე“ დადგნენ ლუკმაპურის საშოვნელად?! თუ ყველა ღონის გამოყენებით საზღვარგარეთ წავიდნენ, უკეთეს შემთხვევაში სხვა სახელმწიფოს მიერ, ლტოლვილთა დოტაციის მისაღებად. ხვალ კი ჩვენი ერის სიმცირის თემაზე კონფერენციებს მოვაწყობთ...

იქნებ, ვინმე ღვთისნიერი შემეხმიანოს...

**ასმათ პაიჭაძე.**
**ქ. თბილისი, ნაძალადევის რაიონი,**
**ლიახვის ქუჩა №23, ტელ: 61-61-40.**

ამ დღეს, ერთი წლის წინათ...

# მარტოობა ჩიკაგოში



**ცხოვრებაში, რომელიც თავდაპირველად უამრავ გზად იშლება თითოეული ჩვენგანის წინაშე, სიკვდილი ერთიანად ყველას მოგვდევს, თუმცა ზოგს ადრე გვეწევა, ზოგს — გვიან.**

**ერთი წლის წინათ, ჩიკაგოში დაღუპული ჩემი უქვირფასესი მეგობარი კოტე არობელიძე ვერასოდეს იფიქრებდა, რომ სულს დალევდა ასე უდროოდ, სამშობლოდან შორს და მშობლიურ მიწას არ დააყრიდნენ გულზე, მაგრამ განგების ნება სხვა ყოფილა. მიუხედავად იმისა, რომ მარტო არ ყოფილა, ცოლ-შვილი მუდამ მასთან იყო, სამშობლო, მეგობარ-ახლობლები სულის შეხუთვამდე ენატრებოდა, მუდამ ცრემლის ბურთი ჰქონდა ყელს მომდგარი, როცა ტელეფონით ვსაუბრობდით. ადრე, ახალგაზრდობაში, თავის ოთახის მინა რომ ნახა ჩამსხვრეული, ვიდრე სხვას ჩასვამდა, ღამის სიცივეს რომ არ დაესუსხა, საქართველოს რუკა მიაკრა ჩარჩოს, რომელიც კარგა ხანს აღარ ჩამოხსნა...**

**იმ ჩალეწილი ფანჯრის ქვეშ დათოვლილი ნაძვების ქვეშ მისი ერთი ნათქვამი მახსოვს: ნეტავ ბიჭი შემეძინოს პირველი, მამაჩემის სახელს დავარქმევ, მერე ქალიშვილი მინდა, დედის სახელი რომ დავარქვაო.**

**ეს ნატვრა შეუსრულა ბედის გამგებელმა.**

**თითქმის ათი წელია, რაც არობელიძეების ოჯახი სამშობლოდან შორს არის, მუშაობენ, სწავლობენ, დიდ წარმატებებსაც აღწევენ და უფრო დიდი გამარჯვებისთვისაც ემზადებიან, მერწმუნეთ.**

**ერთია მხოლოდ — კოტე არობელიძის ამქვეყნიდან უდროოდ წასვლით ნაიარევ გულებს მის მეუღლეს, შვილებსა და მეგობრებს ველარაფერი მოუშუშებს.**

**ოთარ ტურაბელიძე**

**ალეკო კაკულია, ნინო ბეჟიტაშვილი ღრმა მწუხარებით იუწყებიან და თანაგრძნობას უცხადებენ აკაკი და მარინა ჭანტურიებს შვილის**

**გიორგის**

**ტრაგიკულად გარდაცვალების გამო.**

**საქართველოს პარლამენტთან არსებული აუდიტორული საქმიანობის საბჭო თანაუგრძნობს მანანა აქუბარდიას სიძის**

**ზურაბ მათნაძის**

**გარდაცვალების გამო.**

◉ წკეპლიკა

# გადარეულა იოსებ, რა დავუშავე გიოსო?..



**გორში სტალინის ძეგლის საკითხი მთავრობის სხდომაზე განიხილებაო, გვამცნეს ტელეეკრანიდან. ღმერთო დიდებულო, ამ უფსკრულის პირას მიყვანილ ქვეყანაში ხელისუფლებას უფრო მნიშვნელოვანი განსახილველი არაფერი არა აქვს? რა ვქნა ახლა, მე თავხედმა, არ გავიხსენო ქართული ანდაზა უსაქმო კაცსა და მახათზე?..**

იმავე ეკრანიდან გამოდგა ხალხის სამსახურში გვარიანად გასუქებული სახელმწიფო მინისტრი და განაცხადა: საზოგადოების დიდი ნაწილი ეთანხმება ძეგლის აღებას და კიდევ — სამარცხვინოა ისეთ ქალაქში, როგორიც გორია, ეს ძეგლი რომ დგასო. ღმერთო, შენ მიშველე — ნეტავ რომელ საზოგადოებასთან ჰქონდა კონტაქტი, ასეთი დასკვნა რომ გამოიტანა? რაც მაგას გაზეთებში მოხვდა სტალინის ძეგლზე პირველი მიხტომისას, მეორე მიხტომა „წესით“ აღარ უნდა გაებედა, მარამ, ვიღაცის არ იყოს, ეტყობა, ქართულ პრესას არც ეგ ვაჟბატონი მინისტრი კითხულობს. თავლაფდასხმულ პრეზიდენტიან და გაუბედურებულ საქართველოში მეტი სამარცხვინო ვერაფერი ნახა? ამდენი ხანი არ ითვლებოდა გორის სირცხვილად სტალინის ძეგლი და ახლა გახდა? სტალინის სახელზე ისედაც აღრენილ-აყეფებულ რუსეთს ამგვარი კოზირის მიბოძება ეჭირვება? ეს არის შენი სახელმწიფო აზროვნება, სახელმწიფო მინისტრო?

...ეჰ, ჩემო ჰამლეტ, ჩემო დანიის პრინცო, რომ იცოდე, რამდენი რამით ჩანს, რომ „დანიის სამეფოში“ რაღაც ვერ არის რიგზე...

**ლუკა გორგაძე**

◉ წიგნი

# საუკუნოვანი წყლული არ შუშდება

**გამოიცა და შეგიძლიათ, შეიძინოთ ცნობილი ფრანგი მწერლის, ესეისტისა და მოგზაურის მარკიზ დ' კიუსტინის წიგნი „ნიკოლოზ I დროინდელი რუსეთი“ (საუკუნოვანი წყლულიძ. წიგნი დაისტამბა 1935 წელს გამომცემლობა „პოლიტკატორღელის“ მიერ გამოქვეყნებული თხზულების მიხედვით — უცვლელად, უმნიშვნელო შესწორებით.**




დ' კიუსტინის მიერ აღწერილი რუსეთის გაცნობა კიდევ ერთხელ დაარწმუნებს მკითხველს, რომ ეს „საუკუნოვანი წყლული“ კვლავაც სტანჯავს იმპერიისგან თავდახსნილ ხალხებს. ამას ცხადყოფს საქართველოს მიმართ ახლახან განხორციელებული აგრესია.

წიგნში ასახულია, თუ როგორ ესწრაფოდა რუსეთი მუდამჟამს ახალი მიწების დაპყრობას, რარიგ ბარბაროსული მეთოდებით ფეხქვეშ თელავდა დამონებული ქვეყნების მკვიდრთ.

„ისტორიულ წარსულზე შექმნილი წერილობითი წყაროების გაცნობამ მარკიზ დ' კიუსტინი დაარწმუნა, რომ რუსეთი კვლავაც იმ დონეზე იდგა, საუკუნეების წინათ, თათარ-მონღოლთა ბატონობის გადაგდების პერიოდში რომ იმყოფებოდა.

თვითმპყრობელი ნიკოლოზ პირველის სამეფო კარზე მიღებულმა წარუშლელმა შთაბეჭდილებებმა ათქმევინა ავტორს: „უნდა იცხოვრო ამ მოუსვენარ უდაბნოში, ამ ციხეში, რომელსაც რუსეთი ეწოდება, რომ იგრძნო ევროპის ხალხთა თავისუფლება“.

თითქმის ორი საუკუნე გავიდა კიუსტინის მოგზაურობიდან და რუსეთი იგივე რჩება დღესაც. იმპერატორმა ნიკოლოზ I კიუსტინთან შეხვედრისას არაერთგზის აღნიშნა, სხვისი მიწების დაპყრობა ჩვენი მისწრაფება სულაც არ არისო, რუსეთის სივრცე ისედაც უზარმაზარიაო. და ეს მაშინ, როდესაც მუდამდღე სწორედ ამისკენ ისწრაფოდა. იგივე გაიმეორეს რუსეთის ახლანდელმა ხელმძღვანელებმა ცხინვალის რეგიონსა და აფხაზეთში.

ასე რომ „საუკუნოვანი წყლული“ არ შუშდება, პირიქით, კიდევ უფრო მეტი სიმძაფრით შეგვახსენებს თავს. ამის გამოძახილია მარკიზ დ' კიუსტინის ეს წიგნიც.

წიგნის გამომცემელია იულონ ტოლიაშვილი, რედაქტორები — გიგლა აბდალაძე, ნათელა ხურცილავა.

**ნატა ნიბლაძე**

◉ ინფორმაცია

## მკვლელი ორი წლის შემდეგ დააკავეს

**მოსკოვში რუსეთის ცენტრალური ბანკის თავმჯდომარის პირველი მოადგილის ანდრეი კოზლოვის მკვლელობაში ეჭვმიტანილი ანდრეი კოსმინინი დააკავეს.**

**ამის შესახებ სააგენტო „ინტერფაქსი“ სამართალდამცავ ორგანოებზე დაყრდნობით იუწყება. კოსმინინზე ფედერალური და საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.**

**კოზლოვი 2006 წლის 13 სექტემბერს მოკლეს. მკვლელობის ორგანიზატორად სასამართლომ ცენტრალური ბანკის თავმჯდომარე ალექსეი ფრენკელი დაასახელა, რომელსაც 19 წელი მიუსაჯეს. ფრენკელი დანაშაულს არ აღიარებს.**

**ინტერპრესნიუსი**

## სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა საყურადღებოდ!

**2008 წლის 30 დეკემბერს 12 საათზე, ქ. თბილისის, მიტ. ლაღიძის ქ. №21-ში ადმინისტრაციულ შენობაში ტარდება სს „ფეიქარი-95“-ის აქციონერთა რიგგარეშე საერთო კრება. კრების დღის წესრიგია:**

1. ქ. თბილისის სს „ფეიქარი-95“-ის წესდებაში ცვლილებების შეტანა;
2. სხვადასხვა.

აქციონერთა სააღრიცხვო თარიღად აღებულია 2008 წლის 4 დეკემბერი. აქციონერებს თავიანთი უფლებების შემოწმება შეუძლიათ დამოუკიდებელ რეგისტრატორთან — ქ. თბილისი, ვაჟა-ფშაველას 41, დამოუკიდებელი რეგისტრატორი „ეროვნული რეესტრი“.

**დირექტორი ჯემალ ალიბეგაშვილი**

◉ ნარკომანია

# სკანდალი, რომელიც ომმა გადაფარა

**ნარკოტიკების რეალიზებამ და მოხმარებამ გურიაში არნახულ ზღვარს მიაღწია. რეგიონის სამივე რაიონში (ოზურგეთი, ლანჩხუთი, ჩოხატაურიძ ყველამ იცის, სად ცხოვრობს „ბარიგა“. ვისი მეშვეობით შეიძლება მასზე გასვლა და ნარკოტიკების შეძენა. მუდმივ (შემჯდარძ და ერთჯერად მომხმარებლებსაც ადვილად სცნობენ.**

დაუზუსტებელი ინფორმაციით, ნარკოტიკების დიდი რაოდენობის („პერედოზიროვკა“ძ ფაქტები რეგიონში თითქმის ყოველ დღეს ფიქსირდება. მათ შორის არის მსხვერპლიც. მოსახლეობაში ფართოდაა გავრცელებული მოსაზრება, რომ მომხმარებლებსა და რეალიზატორებს ადგილობრივი სამართალდამცავი ორგანოები მფარველობენ ან დანაშაულებრივ გულგრილობას იჩენენ. ჩვენი ინფორმაციით, პოლიცია მხოლოდ მაშინ გააქტიურდა, როდესაც ადგილობრივებმა ღიად იწყეს საუბარი, სამხარეო, რაიონული ხელისუფლების დაუფარავ კავშირზე არა მხოლოდ რეალიზატორებთან, არამედ სისტემატურ მომხმარებლებთან („ქუჩის მორფინისტებთან“ძ.

**ტესტირებას გაქცეულნი თბილისიდან „სუფთები“ ბრუნდებიან**

**ჩვენი ლანჩხუთელი ინფორმატორის გადმოცემით, საღამოს 8 საათზე ლანჩხუთის ცენტრში ერთ-ერთი მცხოვრებლის (გვთხოვეს ვინაობა არ დაგვესახელებინაძ ბინა გაიჩხრიკა. სახლის მეპატრონე „სუფთა“ აღმოჩნდა, მაგრამ სამივე სტუმარი ზემოქმედების ქვეშ იყო. მათგან ერთ-ერთში ლანჩხუთის გამგეობის თანამშრომელი შეიცნეს.**



იხ. 12 გვ.

ნარკომანია

# სკანდალი, რომელიც ომმა გადაფარა

(მეთერთმეტე გვერდიდან)

იმავე დღეს ლანჩხუთის საავადმყოფოში შოკურ მდგომარეობაში მყოფი ახალგაზრდა მიიყვანეს. ექიმებმა ძლივს მოახერხეს მისი გადარჩენა. ჩვენი ინფორმაციის მომწოდებლის გადმოცემით, მძიმე მდგომარეობაში მყოფი საავადმყოფოში ორმა ახალგაზრდამ მიიყვანა. მათ ყველანაირი წინააღმდეგობა გაუწიეს მიმღების ექიმებს, რომ მათი მეგობარი არ დაეფიქსირებინათ. ახლობლებმა ისიც მოახერხეს, რომ შოკიდან გამოყვანილი საავადმყოფოდან „გაექროთ". მომხდარი გახმაურდა. გაირკვა, რომ მძიმე მდგომარეობაში ჩავარდნილი ლანჩხუთის გამგეობის თანამშრომელი ყოფილა. ყველა ზომას მიმართეს, რომ საქმე არ გახმაურებულიყო. საგულდაგულოდ იმალება ახალგაზრდის ვინაობა. თუმცა იმასაც ამბობენ, რომ იგი პირადი განცხადების საფუძველზე აიძულეს სამსახურიდან წასულიყო.



ამ და ბევრი სხვა ფაქტის გახმაურების გამო სამხარეო ადმინისტრაცია იძულებული გახდა, საკუთარ და სამივე რაიონის გამგეობების აპარატებში ნარკოტესტირება ჩაეტარებინათ.

როგორც ჩვენი ინტერვიუერი გვაცნობს, ნარკოტესტებზე შემოწმებების დღეს მხოლოდ ლანჩხუთის გამგეობის წევრთა 1/3 სამსახურში არ გამოცხადდა. გავრცელდა მოარული ხმები, რომ ისინი ოზურგეთში, უმეტესობა კი თბილისში წავიდნენ და პატრონ-მფარველებს მიაკითხეს. რამდენიმე დღის შემდეგ ზემოდან ზურგგამაგრებულებმა ტესტირება ამაყად გაიარეს. ყველანი „სუფთები" აღმოჩნდნენ.

სკანდალის დღეებში, მარნეულში დააკავეს თურქული ფირმის ტრაილერი (ყოველ შემთხვევაში დოკუმენტებში ასე იყო ფიქსირებული). მასში ადგილობრივმა სამართალდამცავებმა დიდი ოდენობით ნარკოტიკი აღმოაჩინეს. დაკავებული მძღოლი თურქეთის მოქალაქეა. თუმცა ჩვენი სამართალდამცავები მის ვინაობას არ ასახელებენ, ისევე, როგორც ტრაილერის ლანჩხუთელი მფლობელისას.

როგორც ირკვევა გურიის რეგიონის ყველა დონის სახელმწიფო მართვის სტრუქტურები ღრმად არიან ჩათრეული ნარკოსკანდალში. მომხდარი, რუსული აგრესიის ფონზე ჯერჯერობით ჩაიფარცხა. მაგრამ უცნობია როდემდე.

ჩვენ ყოველივეს გადამოწმება და გარკვევა შსს-ს პრესცენტრში გადავწყვიტეთ. მაგრამ ამაოდ, რადგან ზურაბ გვენეტაძე უცხო ზარებს, მისი ხელმძღვანელობის მსგავსად, არ უპასუხებს. კულუარული ინფორმაციით ისიც გავარკვიეთ, რომ გვენეტაძეს პირადად,ვითომ გადამდგარი და შერისხული (გირგვლიანის მკვლელობის გამო) გურამ დონაძის მითითებით „დონ გურამის" (ასე ეძახიან „პრესცენტრის" ყოფილ უფროსს შსს-ში უდიდესი გავლენის გამო) უნებართვოთ ჟურნალისტებთან ოფიციალური ურთიერთობა ნებისმიერი რანგის პოლიციელს ეკრძალება.

**ზაზა ბილიხოძე**

## ძვირფასო მკითხველო!

# ჩვენს გაზეთზე ხელმოწერა გაიაფდა!



## თქვენი თანადგომისა გვჯერა

ფინანსური და ზნეობრივი პრობლემებით სავსე საქართველოში გაზეთმა **„საქართველოს რესპუბლიკამ"** შეინარჩუნა თავისი აკადემიური ტონი, პრინციპულობა და მიუკერძოებლობა, სითამამე და სიმართლე. ჩვენთვის არ არსებობს ყალბი ავტორიტეტები, ტაბუდადებული თემები, აკრძალული პრობლემები.

მკითხველთა აღიარებით **„საქართველოს რესპუბლიკა"** ყველაზე სანდო, დახვეწილი, კარგი ქართულით გამორჩეული, ტრადიციული, ჭეშმარიტად ეროვნული გაზეთია.

წლეულს, გაგანია ომის წინა დღეებში, **„საქართველოს რესპუბლიკას"** 90 (ოთხმოცდაათიძ წელი შეუსრულდა!

რედაქციამ გადახედა თავის ფინანსურ შესაძლებლობებს და მოსახლეობის შეჭირვებული ყოფა-ცხოვრების გათვალისწინებით, გაძვირების ნაცვლად 2009 წლის იანვრიდან აიაფებს გაზეთზე ხელმოწერის ფასს. ამიერიდან „საქართველოს რესპუბლიკა" ერთი თვით მხოლოდ 10 ლარი ეღირება!

**ჩვენო ერთგულო მკითხველო! — შეატყობინეთ ყველას გაზეთის გაიაფების ამბავი და გამოიწერეთ ყოველდღიური, ყველაზე გაწონასწორებული, ყველაზე სანდო, ყველაზე ეროვნული „საქართველოს რესპუბლიკა"!**

შეგახსენებთ იმ ორგანიზაციებს, სადაც გაზეთზე ხელმოწერა შეგიძლიათ: მაცნე — 37.47.49; 25.33.88; საქპრესა — 93.30.40; ექსპრესი — 93.66.78; უწყებანი — 93.64.72; ინფოსერვისი — 95.48.82; რუბიკონი — 96.45.69.

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ აგრეთვე უშუალოდ რედაქციაში — კოსტავას ქ. №12. დაგვიკავშირდით ტელეფონებზე — 98.65.87, 899 79.76.79; 899 56.81.86.

**ბიზნესმენებს და რეკლამის ორგანიზატორებს შევახსენებთ, რომ ჩვენთან რეკლამა ყველაზე იაფი და მომგებიანია!**

გაიაფების შემდეგ გაზეთზე ხელმოწერა სამი თვით ღირს 30 ლარი, ექვსი თვით — 60 ლარი, ერთი წლით — 120 ლარი.

ჩვენი ინდექსია — 66434

**თქვენი თანადგომა ჩვენი გაზეთის აღორძინების ერთადერთი გზაა.**

**გამოიწერეთ, იყიდეთ, იკითხეთ, გაზეთი, რომელსაც ჩვენი სამშობლოს სახელი ჰქვია!**

## მოგვმართავენ, გვეკითხებიან

**კითხვა:** მაქვს 40 წლის შრომის სტაჟი, ვარ 63 წლის. მოულოდნელად დავბრმავდი და სამედიცინო კომისიამ მცნო I ჯგ-ის უსინათლო ინვალიდად. 2008 წლის 20 აგვისტოს დამენიშნა პენსია თვეში 55 ლარის ოდენობით. ვითხოვე დაერიცხათ პენსიაზე 10 ლარი, 25 წელზე მეტი შრომის სტაჟისათვის, მაგრამ უარი მითხრეს, რამდენად სწორია სოცუზრუნველყოფის პასუხი?

**ლარისა ძიმისტარაშვილი**

**პასუხი:** თქვენთვის მოცემულია პასუხი მოქმედი კანონიდან გამომდინარე, ვინაიდან დანამატი სტაჟის ხანგრძლივობისთვის პენსიაზე ერიცხებათ მხოლოდ იმ პირებს, რომლებიც პენსიას მოხუცებულობის გამო იღებენ. აქვე გაცნობებთ, რომ გასული წლის 1 დეკემბრიდან პენსიას თვეში 55 ლარის ოდენობით უნდა იღებდეთ.

* * *

**კითხვა:** მიმდინარე წლის 11 ნოემბერს სამუშაოდან გამათავისუფლეს შტატების შემცირების გამო. დღემდე საბოლოო ანგარიში არ გაუსწორებიათ. მეკუთვნის დამატებით ერთი თვის ხელფასი?

**ირმა ქორიძე**

**პასუხი:** დიახ გეკუთვნით. შტატების შემცირების დროს, დასაქმებულისათვის შრომითი ხელშეკრულების მოშლის ინიციატორად დამსაქმებელი ითვლება, ამიტომ დასაქმებულს საბოლოო ანგარიშის გასწორების დროს, დამატებით ერთი თვის ხელფასი უნდა მიეცეს.

**მოგვმართეთ, შეგვეკითხეთ: 98-65-87.**

რეკლამა
კოსტავას 12
„საქართველოს რესპუბლიკაში"
98-65-87; 899 32-85-76.

## კადრი



## ანეკდოტები

— ძვირფასო, როდესაც დავქორწინდებით, ყველა შენს საწუხარსა და საზრუნავს გავიყოფ, — ეუბნება ქალი საქმროს.

— მაგრამ, საყვარელო, მე არანაირი საწუხარი და საზრუნავი არა მაქვს.

— მე ხომ გითხარი, როდესაც დავქორწინდებით-მეთქი.

* * *

მივლინებიდან მოულოდნელად დაბრუნებულმა ქმარმა მაგიდაზე სიგარას მოჰკრა თვალი.

— საიდან ეს სიგარა? — ეკითხება ცოლს.

ცოლი დუმს.

— საიდანაა-მეთქი აქ ეს სიგარა? — ყვირის გამძვინვარებული ქმარი.

— საიდან და, ჰავანიდან, შე დებილო! — ისმის კარადიდან.



* * *

სამსახურიდან ნაადრევად დაბრუნებულმა პეტკამ ცოლს უცხო მამაკაცთან წაასწრო საწოლში.

— გაიცანი, ძვირფასო, — ეუბნება ცოლი, — ეს ჩარლია. შენც გაიცანი, ჩარლი, ეს ჩემი ქმარია. ახლა ცოტა ხანს იჭუკჭუკეთ, მე კი „სასწრაფოს" გამოვუძახებ.

* * *

მივლინებიდან ვადამდე დაბრუნებულმა ქმარმა ცოლის საძინებელში უცხო მამაკაცს წაასწრო:

— მაშკა, ვინ არის ეს ტიპი?

— მართლაც, — ამბობს ცოლი და იმ მამაკაცს მიუტრიალდება, — ბოლოს და ბოლოს, არ იტყვით, რა გქვიათ?

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
კოსტავას ქ. № 12.

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 899 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი ალეკო ასლანიშვილი
98-65-87; 899 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 899 53-76-16;
რუსლან რუსია 899 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 899 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 899 74-90- 07

ინდექსი 66434

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.